პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი № 232 (12744) | პარასკევი, 4 ოქტომბერი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

3 ოქტომბერს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. პ. მჟავანაძემ.**

პლენუმის მონაწილეებმა ფეხზე ადგომით სცეს პატივი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის **დ. ს. ზემლიანსკის** ხსოვნას.

მტკიცდება პლენუმის მუშაობის შემდეგი დღის წესრიგი:

როგორ ასრულებენ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებებს კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის გაუმჯობესების შესახებ.

მოხსენება ამ საკითხზე გააკეთა ამხ. **ვ. პ. მჟავანაძემ.**

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **რ. ი. ფრუიძემ,** საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. **ი. ს. ჩანბამ,** საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. **ლ. მ. უკლებამ,** საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ი. ს. ჩიაევმა,** ამბროლაურის კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს უფროსმა ამხ. **ბ. ო. მინდელმა,** საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივან მ ამხ. **შ. ს. კობახიძემ.** ამით მთავრდება დილის სხდომა.

საღამოს სხდომაზე გაგრძელდა მოხსენების განხილვა. განხილვაში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **ნ. გ. გომელაურმა,** თეთრი წყაროს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. **ა. ს. ბექაურმა,** საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ ამხ. **ე. დ. ჩოფიკაშვილმა,** გორის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს უფროსმა ამხ. **ი. ა. ტოლიაშვილმა,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. **გ. ვ. ყამიერაშვილმა,** საქართველოს სსრ პროკურორის პირველმა მოადგილემ ამხ. **გ. ს. ბიწაძემ,** საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრმა ამხ. **ზ. ბ. გელდიაშვილმა,** საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის პირველმა მოადგილემ ამხ. **მ. კ. მაღრაძემ,** ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. **ნ. ს. ჯავახიძემ.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამერკავკასიის ბიუროს თავმჯდომარე ამხ. **გ. ნ. ბოჩკარიოვი** და სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ამხ. **ი. მ. სტარჩენკო.**

პლენუმი განაგრძობს მუშაობას. (საქდესი).

წინასაყრილოგო შრომითს ვასტზე

ქართული ავტომობილი ყამირზე

ქუთაისი. (საკ. კორ.). ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის რკინიგზის ბაქანზე სატვირთო მატარებელი ჩამოდგა... აქ ქართული ავტომობილებით დატვირთეს და გაამზადეს მორიგი ეშელონი ყაზახეთში გასაგზავნად.

მიმდინარე წლის რვა თვეში ქუთაისელმა ავტომობილშენებლებმა ასობით თვითსაცლელი ავტომობილი და საწევარი, ძრავი და სხვა სათადარიგო ნაწილები გაუგზავნეს მეყამირეებს, რითაც სამატიო დაკვეთა ვადამდე შეასრულეს.

აითვისეს ახალი ტექნოლოგია

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ნაყოფიერად მუშაობენ ქართველი მგაბელეები. „საქაბელის“ ზესტაფონის ქარხნის ახალგაზრდა კოლექტივმა ათვისა რვა დასახელების მაღალხარისხოვანი კაბელის ტექნოლოგია.

აქაურ პროდუქციას სიამოვნებით იღებენ და ქეშით იხსნიებენ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ხარკოვის, ვოლგოგრადის, როსტოვისა და ჩვენი სამშობლოს სხვა ქალაქების მშენებლები, მანქანათმშენებლები, კავშირგაბმულობის მუშაკები. ქარხნის კოლექტივმა ახლახან ვადამდე შეასრულა კალუგელ მშენებლთა „შეკვეთა.

დიდი ოქტომბრის დღესასწაულისა და პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად ქართველმა მეკაბელეებმა ვადამდე შეასრულეს ცხრა თვის დავალება.

მეგმა შესრულებულია გაღაჭარგემით

ხაშურის საწარმოო სამმართველოს მეურნეობებმა წარმატებით შეასრულეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების გეგმა. სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ცხრა თვის გეგმა შესრულებულია 105 პროცენტით, რძისა — 101 პროცენტით, მატყლისა — 102 პროცენტით, კვერცხისა — 100 პროცენტით.

ლობიოს დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია 100 პროცენტით, ბარდისა — 101 პროცენტით. (საქდესი).

აჭარელ მეჩაიეთა გამარჯვება

ბათუმი. (საკ. კორ.). აჭარის ასსრ მეჩაიეებმა ახალ გამარჯვებას მიაღწიეს. წარმატებით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის ვალდებულება. ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 27.000 ტონისა, მოკრეფილია 31.040,4 ტონა „მწვანე ოქრო“.

კეძარაზე საშუალოდ მიღებულია 5.117,7 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, შარშანდელთან შედარებით მოსავლიანობა კეძარაზე 161 კილოგრამით გაიზარდა.

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲙᲐᲢᲐᲙᲘ

ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეჩაიეებმა შრომითი წარმატებანი მოიპოვეს, მაგ. შეასრულეს ... ზოგანი ჩაის ფოთლის კრეფის ვალდებულება. გეგმის გადამეტებით მოკრიფეს 3.800 ტონა ფოთოლი. სულ სამმართველოს მეურნეობებმა 28 სექტემბრისათვის მოკრიფეს და დამზადეს 37 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. (საქდესი).

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲔᲚᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

საქართველოში იმყოფებიან გულის — სისხლძარღვების დაავადებათა ცნობილი ჩეხოსლოვაკიელი სპეციალისტები პროფესორები ირჟი ლინგარტი და ზბინეკ პიშა. ისინი საბჭოთა კავშირში ჩამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი სამეცნიერო ცენტრის საქმიანობის გასაცნობად, რომლებიც სწავლობენ გულის თერაპიის მთელ რიგ საკითხებსა და ფიზიოლოგიის საერთო პრობლემებს.

ჩეხოსლოვაკიელმა მედიკებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული თერაპიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაობისადმი. ჩეხ და ქართველ მეცნიერებს შორის დამყარდა მჭიდრო მეცნიერული კონტაქტი.

— ჩვენ განზრახული გვაქვს, — განუცხადა საქდესის კორესპონდენტს ექსპერიმენტული თერაპიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ი. ჭუმბურიძემ, — გავაფართოოთ მეცნიერ მუშაკთა გაცვლა მედიცინის ისეთი დიდმნიშვნელოვანი დარგების შესწავლისათვის, როგორიც არის ქირურგია, გვირგვინოვანი სისხლის მიმოქცევა (გულის კუნთის სისხლით კვება) და კვლევის უახლესი ელექტროფიზიოლოგიური მეთოდები.

— ახალი მოდელი გვირგვინოვანი სისხლის მიმოქცევის შესწავლისათვის, რომელიც შექმნეს ჩვენმა ქართველმა მეგობრებმა, — განაცხადა პროფესორმა ირჟი ლინგარტმა, — უდაოდ დიდ დახმარებას გაუწევს მეცნიერ-კარდიოლოგებს. მეტად საყურადღებოა, — განაგრძო სტუმარმა, — ქართველ ქიმიკოსთა მიერ სიხფეზიერებული ახალი ბიოლოგიურად აქტიური პრეპარატები, რასაც წარმატებით იყენებენ ინსტიტუტის თანამშრომლები. პიპერტონული დაავადებისა და ათეროსკლეროზის მკურნალობის გამოცდილება წამლებისა და ვიტამინების სხვადასხვა კომბინაცია, რომლებიც აქ შეიმუშავეს და ფართოდ იყენებენ კლინიკურ პირობებში, უეჭველია, ჩეხოსლოვაკიელ სპეციალისტთა ყურადღებას მიიპყრობს.

პროფესორები ი. ლინგარტი და ზ. პიშა გამგზავრნენ სოხუმში, სადაც გაეცნობიან სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტის საქმიანობას.

შემოქმედების დიდი ჰორიზონტები

ამას წინათ თბილისში ჩატარდა გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური I ყრილობა. ყრილობის მონაწილეებმა მოისმინეს საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს მუშაობის ანგარიში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფესიულ კავშირთა საბჭომ გამომგზავნეს და რაციონალიზატორთა საქართველოს I ყრილობას გაუგზავნეს მისასალმებელი წერილი და ახალი წარმატება უსურვეს ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში.

ყრილობაზე აღინიშნა, რომ საქართველოს გამომგონებლები და რაციონალიზატორები აქტიურად მონაწილეობენ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, თავიანთი გამოგონებებითა და რაციონალიზატორული წინადადებების განხორციელებით სისტემატურად ამაღლებენ შრომის ნაყოფიერებას.

შვიდწლედის განვლილ პერიოდში გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რიცხვი ჩვენს რესპუბლიკაში მკვეთრად გაიზარდა და 14 ათას კაცს გადააჭარბა. მათი შემოქმედებითი ჰორიზონტები ფაბრიკებსა და ქარხნებში, შახტებსა და მაღაროებში დღითიდღე ფართოვდება. ნოვატორული ძიების მეოხებით ოთხ წელიწადში შეიქმნა და სახალხო მეურნეობაში დაინერგა 54 ათასზე მეტი ტექნიკური სიახლე და რაციონალიზატორული წინადადება, რის შედეგადაც დაიზოგა 50,5 მილიონი მანეთი.

დიდია საქართველოს მრეწველობის მუშაკების მისწრაფება გამომგონებლობისა და რაციონალიზაციისადმი. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ წლითიწლობით იზრდება წარმოების ნოვატორთა რიგები, სულ უფრო მეტი რაციონალიზატორული წინადადება შემოდის და ინერგება წარმოებაში.

მუშათა კლასის მაღალი კულტურული და ტექნიკური ცოდნის დონე საშუალებას აძლევს წარმოების ნოვატორებს თავიანთი ნვლილი შეიტანონ წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, ახალი მექანიზმების, ჩქაროსნული ტექნოლოგიური პროცესების შექმნისა და დანერგვის, ახალ სახეობათა მასალების გამოყენების საქმეში.

მოწინავე ფაბრიკა-ქარხნებში, მაღაროებსა და შახტებში შემოქმედებით აზრს მხურვალედ უჭერენ მხარს, აშკარად გამოჩნდა გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა როლი შრომის ნაყოფიერების ამაღლებაში და წარმოების ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესების საქმეში.

რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების დახმარებით ბევრი ტექნიკური სიახლე განხორციელდა, რის შედეგადაც მკვეთრად ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, გაიზარდა ლითონის გამოშვება. წარმოების კოლექტივმა 1963 წელს უკან მოიტოვა შვიდწლედის უკანასკნელი წლის საკონტროლო ციფრები თუჯის, ფოლადისა და ნაგლინის წარმოების მხრივ, ხოლო მილების წარმოების მხრივ მიმდინარე წელს მიაღწევს ამ მიჯნას. ამ წარმატებაში დიდია რაციონალიზატორებისა და გამომგონებლების წვლილი. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ქარხნის რაციონალიზატორებმა და გამომგონებლებმა უკვე შეასრულეს შვიდწლედით ნაკისრი ვალდებულებანი. დანერგილ წინადადებათა და გამოგონებათა შედეგად მიღებულია 4.410 ათასი მანეთი ეკონომია. მარტო წლის პირველ ნახევარში ტექნიკური სიახლეების დანერგვით მიღებულმა ეკონომიამ 700 ათას მანეთს გადააჭარბა.

დღითიდღე იზრდება მაღაროელ რაციონალიზატორთა შემოქმედებითი თაოსნობა და ახლის ძიების უნარი. მარგანეცს ტრესტში წელს შემოვიდა 135 რაციონალიზატორული წინადადება. აქედან დანერგულია 53 წინადადება, რომელთა წლიური პირობითი ეკონომია 542 ათას მანეთზე მეტია. ეს თანხა გაცილებით იმაზე მეტია, რაც მაღაროელმა რაციონალიზატორებმა მთლიანად გასულ წელს დაზოგეს.

შვიდწლედის დიდებული ამოცანებისა და სკკპ ახალი პროგრამის მიხედვით არ შეიძლება დავუმაყოფილდეთ მუშათა გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ახლანდელი გაქანებით. ჯერ კიდევ გვაქვს დიდი ნაკლოვანებანი, უწინარეს ყოვლისა შემოტანილ წინადადებათა დანერგვის პრაქტიკაში. ნოვატორებს გზაზე ხვდებათ ბევრი დაბრკოლება და სიძნელე, რომლებიც ხელს უშლიან მათი ინიციატივის სრულად გამოყენებას.

რუტინას, დახასებულობას, ქვემოდან მომდინარე შემოქმედებითი ინიციატივის უგულებელყოფის ფაქტებს ვხვდებით არა მარტო ცალკეულ საწარმოებში, არამედ ტრესტებში, სამმართველოებსა და სამინისტროებშიც კი. შეუწყნარებელი ფაქტია, რომ 1963 წლის პირველ ნახევარში მიღებული 2.900-ზე მეტი წინადადება ჯერ კიდევ არ არის განხორციელებული. რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ხაზით მაჩვენებლები შემცირდა სახალხო მეურნეობის საბჭოს ზოგიერთ საწარმოში. მაგალითად, გასული წლის პირველ ნახევარში სამტრესტის საწარმოებზე შემოვიდა 128 წინადადება, წელს კი შეაბამის პერიოდში — მხოლოდ 81 წინადადება. საქართველოს თამბაქოს ტრესტში შარშან — 157 წინადადება, წელს — 114, საქართველოს ჩაის ტრესტში შარშან — 98, წელს — 94 და ა. შ.

მაჩვენებლები შემცირდა წინადადებათა ეფექტურობის მხრივაც. საქართველოს თამბაქოს ტრესტში 1962 წლის პირველ ნახევარში ეფექტურობამ 66 ათასი მანეთი შეადგინა, 1963 წლის იმავე პერიოდში კი მხოლოდ 31 ათასი მანეთი. საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოებში — 119 ათასი მანეთი, ნაცვლად 1962 წლის 158 ათასი მანეთისა.

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რესპუბლიკური საზოგადოება ყველა ღონისძიებით უნდა ავითარებდეს მასობრივ გამომგონებლობასა და რაციონალიზატორულ მოძრაობას, შრომელთა ფართო მასების ყურადღებას წარმართავდეს პარტიისა და მთავრობის დირექტივებიდან, აგრეთვე სახალხო-სამეურნეო და საწარმოო გეგმებიდან გამომდინარე კონკრეტული ამოცანების გადასაჭრელად. საზოგადოების ძირეული ორგანიზაციები საწარმოებში უნდა ეწეოდნენ ბრძოლას გამოგონებათა და რაციონალიზატორული წინადადებათა დროულად, მაქსიმალურად, ფართოდ დანერგვისათვის, ეხმარებოდნენ წინადადებათა ავტორებს განცხადების გაფორმებასა და მათი უფლებების დაცვაში.

გამომგონებლები და რაციონალიზატორები თავიანთ კეთილშობილურ და ძნელ შრომაში, ახლის, მოწინავის ძიებაში, ტექნიკური პროგრესის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ყოველ ნაბიჯზე უნდა გრძნობდნენ მხარდაჭერას პარტიული, პროფკავშირული, ორგანიზაციების მხრივ, მთელი საზოგადოებრიობის მხრივ.

ᲕᲘᲖᲘᲢᲐᲓ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

საბჭოთა მთავრობამ სოხოვა ნეპალის სამეფო მთავრობის მეთაურსა და საგარეო საქმეთა მინისტრს დ-რ ტულსი გირის ოფიციალურ ვიზიტად ეწვიოს საბჭოთა კავშირს.

დ-რ ტულსი გირი მადლობით დათანხმდა საბჭოთა მთავრობის მიწვევაზე.

ნეპალის სამეფო მთავრობის მეთაური და საგარეო საქმეთა მინისტრი დ-რ ტულსი გირი და მისი თანმხლები პირები საბჭოთა კავშირში ჩამოვლენ 1963 წლის 23 ოქტომბერს. (საკდესი).

შესანიშნავი წარმატება

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა შესანიშნავი შრომითი გამარჯვება მიიღოო როსტოვის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „პროლეტარული დიქტატურის“ მეღორეშექანიზატორს კ. პ. პლოტნიკოვს. 9 თვეში მან გასაუქა და სახელმწიფოს ჩაბარა ღორები, რომელთა საერთო წონაა 4.553 ცენტნერი.

მიმდინარე წლის აპრილში გრიგოლ პავლეს-ძე პლოტნიკოვი გამოვიდა კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის მოწინავეთა სრულიად საკავშირო თათბირზე და იკისრა ვალდებულება, რომ გაზრდიდა და სახელმწიფოს ჩაბარებდა 4.500 ცენტნერ ღორის ხორცს.

(საკდესი).

მწყობრში ჩადგა ურალის კონვერტორი

ხელი მოაწერეს აქტს ნიჟნი ტაგილის ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიული კომბინატის ანგგბად-კონვერტორის საამქროს საექსპლოატაციოდ გადაცემის შესახებ. „ტაგილმშენის“ ტრესტისა და სპეციალიზებულ ორგანიზაციათა მუშებმა დატოვეს თავიანთი პირმშო. მათ ნამდვილი სასწაული მოახდინეს. კონვერტორული ფოლადის დნობის ფლაგმანი ამენებულია წელიწადნახევარში ამუშავდა 400-ზე მეტი ობიექტი. ამოღებულია მილიონ ნახევარი კუბური მეტრი გრუნტი. ჩასხმულია 83 ათასი კუბური მეტრი ბეტონი და რკინაბეტონი. გაყვანილია 22 კილომეტრი რკინიგზა, 330 კილომეტრი ელექტროკაბელი, 400 კილომეტრი მილსადენი. დამონტაჟებულია 15 ათასი ტონა ლითონის კონსტრუქცია და დადგმულია 900 ელექტროძრავა, ათასობით ხელსაწყო. ახლო წარსულში ასეთი მოცულობის სამუშაოებისათვის მშენებლებსა და მემონტაჟეებს დასჭირდებოდათ სამ წელზე მეტი, კადრების გაზრდილმა ოსტატობამ, შეძენილმა გამოცდილებამ, მაღალმა ტექნიკურმა შეიარაღებამ მათ საშუალება მისცა შეემცირებინათ უნიკალური კომპლექსის მშენებლობის ვადები.

ურალის ფოლადის დნობის გიგანტი მწყობრში ჩადგა. მაგრამ ეს მხოლოდ „დიდი ფოლადსათვის“ ბრძოლის დასაწყისია. ტაგილის მეკონვერტორენი ეუფლებიან უნიკალურ ტექნიკას, ამუშავებენ, ხვეწენ ფოლადის მიღების ტექნოლოგიას დიდტვირთიან მარტენებში.

— ჩვენ გვესმის, ჩვენი ამოცანა, — თქვა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში საამქროს უფროსმა ვ. ბარანოვმა. — შევეცდებით კონვერტორისაგან მივიღოთ უველაფერი, რათა ღირსეული წელი შევიტანოთ დიდნიშნულოვანი მიზნის — ჩვენს ქვეყანაში წელიწადში 250 მილიონი ტონა ფოლადის გამოდნობის განხორციელებაში. (საკდესი).

მათემატიკოსთა ფორუმი

7 ოქტომბერს თბილისში იხსნება მეშვიდე სრულიად საკავშირო თათბირი ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის საკითხებზე, რომელსაც იწვევენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი. ფორუმში მონაწილეობას მიიღებს ალბათობის თეორიის ხუთასამდე მეცნიერი სპეციალისტი, მათ შორის სტუმრები ჩეხოსლოვაკიიდან, ბულგარეთიდან, შვეიცარიიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან და სხვა ქვეყნებიდან.

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ბ. მ. მანიამ აცნობა საქდესის კორესპონდენტს თათბირის მიზნები და ამოცანები.

— მეცნიერთა სრულიად საკავშირო ფორუმი, თბილისში მიეძღვნება თანამედროვე მათემატიკის ორ უმნიშვნელოვანეს განყოფილებას: ალბათობის თეორიას და მათემატიკურ სტატისტიკას, რომლებიც გამოყენებულია მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის ბევრ დარგში.

თათბირის მონაწილეთა შორის არიან ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორც აკადემიკოსი ა. ნ. კოლმოგოროვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი კორესპონდენტები ნ. ვ. სმირნოვი და ი. ვ. ლინიკი, შვედი პროფესორი გარალდ კრამერი.

ალბათობის თეორიის საბჭოთა სკოლა წამყვანი თეორიაა მსოფლიოში. მათემატიკური სტატისტიკის მეთოდებს გამოიყენებენ ყოველგვარი ექსპერიმენტული მონაცემების, ანალიზისათვის შიგაბირთვული პროცესების შესწავლით დაწყებული და ეკონომიკის დარგის ანალიზ ნაშრომებით დამთავრებული.

ამ თათბირს აქვს არა მარტო სრულიად საკავშირო მნიშვნელობა, არამედ დიდი მოვლენაა საერთაშორისო სამეცნიერო ცხოვრებაში.

თათბირზე, რომელიც შვიდ დღეს გასტანს, მოსმენილ და განხილულ იქნება ორასზე მეტი მოხსენება. (საქდესი).

კოსმოსური ერის მექვსი წელი

ექვსი წლის წინათ, 1957 წლის 4 ოქტომბერს სსრ კავშირში გაუშვეს მსოფლიოში პირველი დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი. საბჭოთა კვეყანა შეუდგა კოსმოსური სივრცის გეგმაზომიერ კვლევას. ამ ხნის მანძილზე ახალგაზრდა მეცნიერებამ კოსმოსის შესახებ განვლო გზა, რომელმაც დასაბამი მისცა ბუნების საოდუმლოებებში მეცნიერების გაბედული შეჭრის ისტორიის ახალ ერას.

ექვსმა საბჭოთა კოსმონავტმა თავიანთი უმაგალითო ფრენით, განაცვიფრეს მსოფლიო და უსაზღვრო შესაძლებლობანი გადაშალეს ადამიანის მიერ მზის ირგვლივი სივრცის დაპყრობისათვის. დაგროვდა დიდძალი თეორიული და ექსპერიმენტული მასალა.

კოსმოსური სივრცის იმ მრავალმხრივ გამოკვლევათა ზოგიერთი შედეგი, რომლებიც ამ უკანასკნელ ხანებში განხორციელდა, განხილულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის უწყების მეცხრე წიგნში დაბეჭდილი სტატიების სერიაში.

აკადემიკოსი ა. ა. ბლაგონრავოვი უხებს კოსმოსური სივრცისა და ატმოსფეროს ზედაფენების გამოკვლევას და, კერძოდ, განიხილავს იმ სამუშაოთა შედეგებს, რომლებიც განხორციელდა „კოსმოსის“ სერიის დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის. საბჭოთა კვეყანა შეუდგა კოსმოსური სივრცის გეგმაზომიერ კვლევას. ამ ხნის მანძილზე ახალგაზრდა მეცნიერებამ კოსმოსის შესახებ განვლო გზა, რომელმაც დასაბამი მისცა ბუნების საოდუმლოებებში მეცნიერების გაბედული შეჭრის ისტორიის ახალ ერას.

ექვსმა საბჭოთა კოსმონავტმა თავიანთი უმაგალითო ფრენით, განაცვიფრეს მსოფლიო და უსაზღვრო შესაძლებლობანი გადაშალეს ადამიანის მიერ მზის ირგვლივი სივრცის დაპყრობისათვის. დაგროვდა დიდძალი თეორიული და ექსპერიმენტული მასალა.

კოსმოსური სივრცის იმ მრავალმხრივ გამოკვლევათა ზოგიერთი შედეგი, რომლებიც ამ უკანასკნელ ხანებში განხორციელდა, განხილულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის უწყების მეცხრე წიგნში დაბეჭდილი სტატიების სერიაში.

აკადემიკოსი ა. ა. ბლაგონრავოვი უხება კოსმოსური სივრცისა და ატმოსფეროს ზედაფენების გამოკვლევას და, კერძოდ, განიხილავს იმ დიდი სიზუსტით განსაზღვროს კოსმოსური გამოსხივების ეკვატორის მდებარეობა და ამით დაზუსტდეს თუ როგორი ხასიათი აქვს გეომაგნიტურ ველს, რომელიც დედამიწიდან დიდ მანძილზეა.

სსრ კავშირში რომ ინტენსიურად და ნაყოფიერად ხორცდებოდა კოსმოსური სივრცის მრავალმხრივი გამოკვლევა, ამას მოწმობს ასეთი ფაქტიც — მარტო 1962 წელს ჩვენს ქვეყანაში გაუშვეს 82 საკვლევი რაკეტა. გაშვება განხორციელდა ფრანც-იოსების მიწიდან, სსრ კავშირის საშუალო განედებში და საეპსედიციო ხომალდებიდან წყნარ ოკეანეში. რაკეტული აეროლოგიური დაკვირვებების საფუძველზე მეცნიერებმა მიიღეს ახალი მონაცემები არქტიკაში სტრატოსფეროს უეცარი გათბობის შესახებ.

მეცნიერება კოსმოსის შესახებ არსებითად გაამდიდრა საბჭოთა ავტომატური საპლანეტთაშორისო სადგურის „მარსი-1“-ის გაშვებამ, პლანეტების — მერკურის, ვენერას, მარსის რადიოლოკაციამ.

კოსმოსურ სივრცეში ადამიანთა შეღწევის უმნიშვნელოვანესი ტექნიკური და ბიოლოგიური პრობლემები გადაჭრა ხომალდების „აღმოსავლეთი-Ა“ და „აღმოსავლეთი-6“ ფრენის დროს. ეს ნათქვამია პროფესორ ვ. ი. იაზდოვსკისა და ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს ვ. გ. დენისოვის სტატიაში. მეცნიერი-მიკრობიოლ ოგი, აკადემიკოსი ა. ა. იმშენეცკი აყენებს კოსმოსურ სივრცეში ცოცხალ არსებათა ძიების საინტერესო პრობლემებს.

ეს გამოკვლევები, რომლებიც აჯამებენ ყველა ახალი კოსმოსური ექსპერიმენტების შედეგებს, მეტყველებს იმაზე, რომ უაღრესად განვითარდა საბჭოთა მეცნიერება. რომ იგი დაუცხრომლად მიილტვის ახლისაკენ, რომ ჩვენი ხალხი აღსავსეა შემოქმედებითი ძალებით.

ლ. მარკელოვა,
(საკდესის კორ.).

ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲐᲤᲣᲫᲜᲘᲚᲘᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲘ

მეხიკო, 3 ოქტომბერი. (საკდესი). მექსიკის სენატმა ერთხმად დაამტკიცა მოსკოვის ხელოვნურ თანამგზავრ ატმოსფერი იარაღის გამოცდის ნაწილობრივი აკრძალვის შესახებ.

ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔᲑᲘᲐᲜ...

ლა-პაზი, 3 ოქტომბერი. (საკდესი). ბოლივიის ტროცკისტული „რეოლუციური მუშათა პარტიის“ პოლიტბიურო მოითხოვს შეიქმნას „ერთიანი მსოფლიო რევოლუციური ფრონტი“ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობასთან. მოწოდებაში, რომელიც გამოქვეყნდა სათაურით „ჩინელებთან ერთიანი ფრონტისათვის“, პოლიტბიურო ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის პოზიციას უწოდებს „IV (ტროცკისტული) ინტერნაციონალის პოზიციის ნაწილს“.

ᲒᲐᲒᲐᲠᲘᲜᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡ ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐ

პარიზი, 3 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს პირველი საბჭოთა კოსმონავტი იური გაგარინი და გენერალ-ლეიტენანტი ნ. პ. კამანინი, რომელიც მას ახლდა საფრანგეთში მოგზაურობის დროს, „ტუ-104“ თვითმფრინავით მოსკოვში გაფრინდნენ.

პარიზელებმა საბჭოთა კოსმონავტი ვულკანივით გაიცილეს. ლე ბურჟეს აეროდრომზე შეიკრიბა ასობით ადამიანი, რომელებიც დილიდანვე ელოდნენ იური გაგარინის მოსვლას. როცა მისი მანქანა გამოჩნდა, გაისმა ტაში, შეძახილები „გაუმარჯოს გაგარინს!“. გამცილებელთა შორის იყვნენ ასტრონავტიკის საერთაშორისო პრემიის დამაარსებელი გალაბერი, საბჭოთა კოსმონის წევრები საფრანგეთში სსრ კავშირის ელჩის ს. ა. ვინოგრადოვის მეთაურობით, საფრანგეთის კომპარტიას ხელმძღვანელები, მათ შორის საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ჟაკ დიუკლო და გასტონ პლისონიე. პარიზისა და მისი გარეუბნების მერები და მუნიციპალური მრჩეველები, საზოგადოებრიობისა და პრესის მრავალი წარმომადგენელი.

საბჭოთა კოსმონავტს ეხვევიან, ხელს ართმევენ. იური გაგარინი კიბით ადის თვითმფრინავში. იძლევიან სტარტს.

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲒᲐᲓᲐᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲐ

ვაშინგტონი, 3 ოქტომბერი. (საკდესი). სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, რომ დღეს ჰონდურასში ეწოდა სახელმწიფო გადატრიალება.

ეს მოიარალებულმა ძალებმა დაამხეს პრეზიდენტი რამონა ვილედა მორალესი და ხელთ იგდეს ძალაუფლება.

ᲔᲗᲘᲝᲠᲘᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ ᲙᲔᲜᲔᲓᲘᲡ

ნიუ-იორკი, 3 ოქტომბერი. (საკდესი). ეთიოპიის იმპერატორი ჰაილე სელასიე I, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება ამერიკის შეერთებულ შტატებში, 1 და 2 ოქტომბერს შეხვდა პრეზიდენტ კენედის. ვაშინგტონში გამოქვეყნდა ერთობლივ

კომუნიზმის სამსახურშია შვიდწლედის ახალი გიგანტი

ორჯონიკიძე-თბილისის გაზსადენი ხალხთა მეგობრობის დიადი ძეგლია

სურათზე: ორჯონიკიძე-თბილისის გაზსადენის მშენებელთა ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ) — მეპულდოზერე ი. ჩიკაიძე, ელექტროშემდუღებელი ნ. მოზგოვი, მუმანქანე ი. იაშჩენკო, მძღოლი ს. ტურუზიანი, ზეინკალთა ბრიგადირი გ. სტოლიანსკი, მძღოლი ი. აკაქიანი, ბრიგადირი ა. ლებედევი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

გაიმარჯვა გონებამ, ნებისყოფამ

საუბარი „იუჟგაზპროვოდსტროის“ მთავარ ინჟინერთან
გრიგოლ სამოილოვიჩთან

„იუჟგაზპროვოდსტროის“ მრავალი გაზსადენი გაუყვანია, მაგრამ ისეთ სირთულეს არსად შეეხვედრივარ, როგორც ორჯონიკიძე-თბილისის გაზსადენის მშენებლობაზე. მე გულდასმით გადავათვალიერე სამშენებლო ლიტერატურა და გულ-ხდილად გეტყვით, რომ ორჯონიკიძე-თბილისის გაზსადენი უნიკალური ნაგებობაა როგორც საბჭოთა, ისე უცხოეთის პრაქტიკაში.

ახლა, როცა ყველა სიძნელე დაძლეულია, მშენებლობა დამთავრდა და გაზსადენის მაღალი ატმოსფერული წნევის პირობებში გამოცდამ ბრწყინვალედ ჩაიარა, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენმა გმირმა მშენებლებმა ამ გაზსადენის მშენებლობის პრაქტიკაში სძლიეს გაუგონარ და წარმოუდგენელ სიძნელეებს. მოკლე დროში დაამთავრეს დიდი და მძიმე სამუშაოები.

ქართველ მკითხველს სამუშაოთა სირთულეზე წარმოდგენა რომ ჰქონდეს, საკმარისია ვთქვათ, რომ მთების ფერდობებზე გაკეთებულია 130 კილომეტრი თაროები, რომლებზეც დაწყობილია გაზსადენის მილები, 300-ზე მეტ ადგილას გაზსადენი მილები ჰაერში და მიწისქვეშ ჰკვეთენ მშფოთვარე მდინარეს. გაზის მშენებელთა სიამაყეა საჰაერო-საბაგირო გადასასვლელები ბობოქარ მდინარეებზე.

ჩვენი ინტერვიუ

ლაპარაკობენ მშენებლები

ორჯონიკიძე-თბილისის გაზსადენი გადაჭიმულია 200 კილომეტრზე

მთების ფერდობებზე გამოკვეთილია 130 კილომეტრი თაროები გაზსადენი მილების დასაწყობად.

300-ზე მეტ ადგილას გაზსადენი მილები ჰაერში და მიწის ქვეშ კვეთენ მშფოთვარე მდინარეებს

მშენებლებმა საშუალოდ 40 გრადუსი დაქანების პირობებში შეასრულეს 4,5 მილიონი კუბური მეტრი კლდისა და მიწის სამუშაოები, ჩაანაცვლეს 61 ათასი ტონა მილები

ორჯონიკიძე-თბილისის უნიკალური გაზსადენი უკვე ექსპლოატაციაშია.

უკან დარჩა ჩვენს ახლო წინაპრებისამოციანელთა სიმბოლოდ არჩეული პირქუში თერგი, ილიას, პუშკინის მადლიანი კალმით ათასჯერ აღწერილი ზვიადი დარიალი, მედიდური ჯვრის უღელტეხილი და კავკასიონის ქედზე ბუნების თამაშით წარმოქმნილი ხაოცრებანი: ჟრუანტელის მომგვრელი უფსკრულები, კაცუკარება სიმაღლეები, დაქანებები, პიტალი კლდეები და მათ იწროებში მომწყვდეული აქაფებული მდინარეები, ზვავების, ღვარცოფების სამყარო.

ადამიანის ნებამ, გონებამ და მარჯვენამ სძლია ყოველივე ამას, თავისი გაიტანა, და უკვე მუშაობს შვიდწლედის ერთ-ერთი სიამაყე, — ორჯონიკიძე-თბილისის გაზსადენი, რომლითაც სტავროპოლის უხვი და იაფი ბუნებრივი საწვავი გაზი მოდის საქართველოს სახალხო მეურნეობის სათბობი ბალანსის გასაუმჯობესებლად, ჩვენი მრეწველობის ზრდის დამაჩქარებელ ნექტარად.

რა შეედრება იმ სიხარულს, რომელსაც მშენებლები განიცდიდნენ! ძნელი იყო უფსკრულებზე გაზსადენის მილების დასაწყობად ბაგირის ხიდების გაკეთება, ცამდე კედელივით აწვდილ გადმოზნექილ კლდეებზე ასვლა, ბაგირების უძრავად და სამუდამოდ დამაგრება... ამა წარმოიდგინეთ 640 მეტრის სიგრძეზე, კლდიდან კლდეზე ბაგირების გაბმა, ოთხმალიანი ბაგირის ხიდის გაკეთება და ზედ დიდდიამეტრიანი გაზსადენი მილების დაწყობა, როცა ათსართულიანი სახლის სიმაღლის ოდენა სიღრმეში თერგი ბობოქრობს, თითქოს სატანა ლუციფერს ელის, როდის ჩამოვარდება ეს კადნიერი ვაჟკაცი, ასე გაბედულად რომ ფუსფუსებს იმ კლდის სიმაღლეზე, სადაც ჩემი შიშით არწივებიც ვერ ბედავენ ცოტა ხნით ჩამოჯდომასო.

ძნელი იყო გაზსადენის მშენებლებისათვის თერგზე, გველეთთან, ქვეშეთის თავბრუდამხვევ დაქანებაზე მუშაობა, ზვავებთან, ღვარცოფებთან ბრძოლა, მაგრამ სასიამოვნოა და მუდამ ტკბილ მოსაგონრად დარჩება საშინელ დაბრკოლებათა გადალახვის, სიძნელეთა დაძლევის ამბავი.

სულ წელიწადნახევარში შეძლეს ორჯონიკიძე-თბილისის უნიკალური გაზსადენის მშენებლებმა შრომითი შეტევით კავკასიონის ქედის გადალახვა, ბუნების მიერ მათ წინააღმდეგ აღმართულ სიძნელეთა და დაბრკოლებათა დათრგუნვა, ტოპოგრაფიულ სირთულეთა დაძლევა და იმის ერთხელ კიდევ ცხადყოფა, რომ კომუნიზმის მშენებელ ადამიანს, თავისუფალ შემოქმედს ვერავითარი დაბრკოლება ვერ შეაჩერებს კომუნისტური პარტიის მიერ მის წინაშე დაყენებული დიადი მიზნისაკენ წინსვლაში. მის წინ ქედს მოიხრიან მწვერვალებიც და ფიანდაზად გაეფინებიან უფსკრულებიც.

რატომ უწოდებენ ორჯონიკიძე-თბილისის გაზსადენს უნიკალურს? — იმიტომ, განმარტა ამ მშენებლობის ხელმძღვანელი ტრესტის „იუჟგაზპროვოდსტროის“ მთავარმა ინჟინერმა გ. სამოილოვიჩმა, — რომ მსოფლიო პრაქტიკამ არ იცის ასეთ რთულ, მაღალმთიან პირობებში გაზსადენის გაყვანის ანალოგიური მაგალითი.

გაზსადენის გაყვანა დაკავშირებულია ბევრ სირთულესთან, ტექნოლოგიური ხასიათის ბევრ სიძნელესთან. ყოველი ცალი მილი, რომელიც დიდი სიმძიმისაა, უნდა შემოსონ საიმედო საიზოლაციო ქერქით, რათა ლითონს უანგი ვერ მიეკაროს, დაუძინებელი მტერი — კოროზია ვერ შეეპაროს, იდოს ერთხელვე მორგებულ „საწოლში“ უძრავად და მტკიცედ საუკუნეთა განმავლობაში. სადავიდარაბო საქმეა ცალკე მილების ერთმანეთთან საიმედოდ და გულდასმით შედუღება, შენადუღარი ნაწიბურის იზოლაცია, მით უმეტეს, როცა ეს პროცესი ტექნოლოგიური რეჟიმის ზედმწევნითი დაცვით უნდა შესრულდეს ადამიანისათვის მეტად უხერხულ პირობებში— უფსკრულზე ათსართულიანი სახლის სიმაღლეზე გაკიდებულ სამაგრო ხიდზე, ან უსასრულ კლდეებში თაროებზე გაჭრილ სვეიფროვეში, გზაააუვლელი მთის გვირაბში და მდინარის კალაპოტის გადამკვეთავი დიუკერის სიბნელეში.

130 კილომეტრ საერთო სიგრძეზე გაკეთებულ კლდეებში გაზსადენისათვის თაროსებრი ვაკისი მშენებლებმა ქალაქ ორჯონიკიძიდან თბილისამდე, 20.000 ტონა მილი ჩაიწყეს ამ მანძილზე და ერთმანეთთან საიმედოდ შეადუღეს, შეკრეს, იზოლაცია გაუკეთეს.

ორჯონიკიძე-თბილისის გაზსადენის სათავე მაიკოპშია. აქ შემოდის გაზსადენში უწყვეტ ნაკადად სტავროპოლის ბუნებრივი საწვავი გაზი და აქედან მოემართება იგი თბილისისაკენ, შემდეგ რუსთავისაკენ. რუსთავში არანაკლები ხალისით მიელიან სტავროპოლის გაზს ჩვენი მეტალურგები, ენერგეტიკოსები, ვიდრე თბილისში. მაიკოპიდან ორჯონიკიძემდე 157 კილომეტრ მანძილზეა გადაჭიმული გაზსადენის ტრასა. შემდეგ იწყება ტრასის „ზეიპვლა“ კავკასიონის სიმაღლეებზე, მარადიული მყინვარებისაკენ, და ისევ ქვედაშვებით, 200 კილომეტრის გავლით აღწევს თბილისს.

ამ დიდ მანძილზე გაზსადენმა გადალახა 309 მთის მდინარე, ღრმა ხევი, ღვარცოფების ზონა, მარადიული თოვლის ველი. სულ ჩაწყობილია სამოცდაერთ ათასზე მეტი ტონა დიდდიამეტრიანი მილები, შედუღებულია 46 ათასი მილპრაპირი, უველაზე მიუვალსა და მიუსადგომ ადგილებში გაზსადენისათვის აგებულია 4 საბაგირო ხიდი, მოწყობილია ორი მდინარის ქვეშა დიუკერი, კლდიან მთებში გაჭრილია ცხრა გვირაბი და ა. შ.

ამისათვის შესრულებულია 4.500.000 კუბმეტრი კლდისა და მიწის სამუშაო, მუშაობდა 6 მექანიზებული კოლონა, რომლებსაც მომსახურებას უწევდა 20 მძლავრი ექსკავატორი, 65 ბულდოზერი, 60 ამწე-მილჩამწყობი მექანიზმი, 100 ლითონშეკაფდებელი აგრეგატი, 15 ცალი ტრასის საწმენდი მანქანა, 35 ცალი კომპრესორი და ასობით თვითსაცლელი ავტომანქანა.

ეს მონაცემები იძლევიან დაახლოებითს წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რა გრანდიოზულ საინჟინრო ნაგებობათა კომპლექსს წარმოადგენს ორჯონიკიძე-თბილისის გაზსადენი და რატომ არის იგი მიჩნეული უნიკალურ ნაგებობად გაზსადენთა მშენებლობის მსოფლიო პრაქტიკაში.

მიტინგზე, რომელიც ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის-აკენ მიმავალი მაგისტრალის მარჯვნივ ახლად აგებული გაზგანმანაწილებელი სადგურის მახლობლად გაზსადენის საექსპლოატაციოდ გადაცემის აღსანიშნავად გაიმართა, აღინიშნა ის დიდი ეკონომიური მნიშვნელობა, რაც ამ გაზსადენის ამუშავებას ექნება ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის, მისი სათბობი ბალანსის გაუმჯობესებისათვის.

სათბობის ბალანსი ჩვენში დეფიციტური იყო. ინდუსტრიის ზრდა, მრეწველობის სულ ახალ-ახალი ობიექტების მწყობრში ჩაყენება, განსაკუთრებით „დიდი ქიმიის“ ამოქმედება იწვევდა სათბობის მოთხოვნილების შეუნელებელ ზრდას. ყველაზე უფრო ამიტომ ტრასის მთელ სიგრძეზე — 357 კილომეტრზე გაკეთებულია გზა, გაკვანილია კავშირგაბმულობა. კავკასიონის უველაზე მძიმე უბანზე, მიუსადგომ კლდეებში თვალუწვდენ სიმაღლეებზე გაჭრილ ნაგაზსადენე თაროებსაც კი აქვთ მიმოსვლისათვის საჭირო სიგანე — 9 მეტრი. სხვანაირად თუ ვიტყვით, ამ გაზსადენისათვის ქალაქ ორჯონიკიძიდან ჩვენს დედაქალაქამდე აშენდა ახალი, კეთილმოწყობილი გზა, ახალგაზრდა ორიეული ხალხმოხვეული და ულამაზესი საქართველოს სამხედრო გზისა.

ენა აიშენა, დაიპროექტა საინჟინრო შემოქმედების ეს შესანიშნავი ობიექტი? ორჯონიკიძე-თბილისის გაზსადენი დაიპროექტა სსრ კავშირის გაზსადენების დამპროექტებელმა სახელმწიფო ინსტიტუტმა. ტრასის ტოპოგრაფიულ-გეოლოგიური გამოკვლევის რთული სამუშაოები შეასრულა და დამპროექტებლები სათანადო მონაცემებით აღჭურვა თბილისის ჰიდროპროექტმა. ძირითადი სამშენებლო სამუშაოები შეასრულა ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროიმ“.

ტექნიკური აზრის მუშაობა

ენერგეტიკული ინსტიტუტი

ელექტროფიკაციის ინსტიტუტი

ელექტროსაზომი ინსტიტუტი

ელექტროტექნიკური ინსტიტუტი

ელექტროფიზიკური ინსტიტუტი

ელექტროქიმიური ინსტიტუტი

ელექტროსამედიცინო ინსტიტუტი

ელექტროტექნიკური ქარხანა

ელექტროტექნიკური ინსტიტუტი

ელექტროტექნიკური ინსტიტუტი

**ელექტროტექნიკური ინსტიტუტი

საერთაშორისო
დეკანოზი ცხოვრები ინფორმაცია
ცხოვრება

რასიზმი — სამარცხვინო ბოძზე!

ა. ა. გრომიკო შეხვდა დ. რასკს

ნიუ-იორკი, 3 ოქტომბერი. (საკდესი). 2 ოქტომბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ სადილი გამართა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის დ. რასკის პატივსაცემად. სადილზე იყვნენ ამერიკის მხრივ ე. სტევენსონი, ლ. ტომპსონი, უ. ტაილერი, საბჭოთა კავშირის მხრივ ვ. ს. სემიონოვი, ა. თ. დობრინინი, ნ. ტ. ფედორენკო, კ. ფ. ნოვიკოვი, ა. გ. კოვალიოვი, ი. ნ. ზემსკოვი.

სადილის დროს გაგრძელდა აზრთა ურთიერთგაზიარება საერთაშორისო დაძაბულობის შენელების შემდგომ შესაძლებელ ღონისძიებათა შესახებ, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხის შესახებ.

გულთბილი შეხვედრა

პარიზი, 3 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტი ი. ლოპატინი იტყობინება:

გუშინ პარიზის სამრეწველო გარეუბანმა პიტომ აღფრთოვანებული შეხვედრა მოუწყო პირველ საბჭოთა კოსმონავტს იური გაგარინს. ათასობით ადამიანი, რომლებიც პიტოს მერიასთან შეიკრიბნენ, მას აღტაცებული შეძახილებით, ზღვა ყვავილებით შეხვდა.

კოსმონავტს სიტყვით მიმართა პიტოს მერმა სოციალისტმა სენატორმა ჟორჟ დარდელმა.

მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა

ბელგრადი, 3 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა იუგოსლავია-საბჭოთა კავშირის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შერეული კომისიის მორიგი მე-10 სხდომა. სხდომის მონაწილეები განხილავენ შედეგებს, რომლებიც მიღწეულია წარსული სხდომის დასკვნებისა და გადაწყვეტილებების განხორციელების დროს. გარდა ამისა, ისინი მიიღებენ მომავალი მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამას.

იუგოსლავიის დელეგაციას, იუწყება ტანიუგის საგაზეთო, მეთაურობს მრეწველობის სახელმწიფო მდივანი ფილიპ ბაბიკოვიჩი, საბჭოთა კავშირის დელეგაციას — სსრ კავშირის სახმშენთან არსებული სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე — სსრ კავშირის მინისტრი ე. ს. ნოვოსელოვი.

ნიუ-იორკი, 3 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე გამოვიდნენ კონგოს (ბრაზავილი), ავღანეთის, ისრაელისა და მაროკოს წარმომადგენლები.

კონგოს (ბრაზავილი) საგარეო საქმეთა მინისტრმა განმ მოიწონა ამერიკის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების ადის-აბების კონფერენციის გადწყვეტილებანი.

ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა გოლდა მეირმა განაცხადა, რომ აწლანდელი საერთაშორისო მდგომარეობა კეთილსასურველად განსხვავდება გასული წლების სიტუაციისაგან.

მეირი, რომელიც შეეხო ახლო აღმოსავლეთში არსებულ დაძაბულ მდგომარეობას, ამტკიცებდა, რომ ისრაელის მთავრობის მიზანია „ომის თავიდან აცილება და მშვიდობის შენარჩუნება“ ამ რაიონში. „პროპაგანდისტული მიზნით მეირმა წამოაყენა მთელი რიგი წინადადებანი, რათა შეენიღბა ისრაელის ინტენსიური საომარი მზადების კურსი.

მშვიდობა არ შეიძლება იყოს მყარი, სანამ არ შესრულდება დეკლარაცია კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ, სანამ აფრიკაში და მსოფლიოს სხვა რაიონებში კოლონიალიზმი ყოველდღე იწირავს ახალ-ახალ მსხვერპლს, თქვა თავის სიტყვაში მაროკოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ამბედ ბალაფრეჯმა. ამასთანავე ერთად, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეკონომიური დამოუკიდებლობის მიუღწევლად ახალგაზრდა სახელმწიფოთა პოლიტიკური დამოუკიდებლობა მერყევი იქნება.

ნიუ-იორკი, 3 ოქტომბერი. (საკდესი). საკდესის კორესპონდენტები ს. ლოსედი და ვ. პეტრუსენკო იუწყებიან:

2 ოქტომბრის დღის პლენარულ სხდომაზე საერთო დისკუსიაში გამოვიდნენ ფინეთის, ბულგარეთის, ახალი ზელანდიისა და საბერძნეთის დელეგატები.

ძნელია მოველოდეთ წარმატებას მოლაპარაკებაში განიარაღების შესახებ, ხაზგასმით აღნიშნა მოკლე სიტყვაში ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, თუ ეფეკტიანად არ აღიკვეთა ატომური იარაღის გავრცელების პროცესი.

ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დამსწრეთ მოაგონა კეკონენის წინადადება იმის შესახებ, რომ ჩრდილოეთი ევროპა გადაიქცეს ატომური იარაღისაგან თავისუფალ ზონად, და აღნიშნა, რომ ატომური იარაღის დანერგვა რაიონებში, სადაც იგი წინათ არ ყოფილა, დიდ საშიშროებას წარმოადგენს. დანიამ, ნორვეგიამ, თქვა მან, აირჩიეს სამხედრო კავშირებში მონაწილეობის გზა, მაგრამ სანამ სკანდინავიის ყველა ქვეყანა უარს ამბობს ატომური იარაღის შეძენასა და მის განლაგებაზე თავის ტერიტორიაზე, ეს ჰქმნის იმის წინამძღვარს, რომ სკანდინავია გახდეს ნამდვილად მშვიდობიანი რაიონი.

შემდეგ გამოვიდა ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ივანე ბაშევი. მან მოაგონა დამსწრეთ, რომ მისი ქვეყნის მთავრობამ ერთ-ერთმა პირველმა მოაწერა ხელი მოსკოვის ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის ნაწილობრივი აკრძალვის შესახებ. მოსკოვის ხელშეკრულება ტკანსასენი რამდენიმე წლის ყველაზე მნიშვნელოვანი დიპლომატიური აქტია, ამბობს ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრი. ამ დარბაზში, მოუხედავად ინტერესთა და აზრთა სხვადასხვაობისა, იგრძნობა „მოსკოვის სულისკვეთება“.

ორატორი დაწვრილებით შეეხო საყოველთაო და სრული განიარაღების პრობლემას. იგი მიესალმა საბჭოთა კავშირის წინადადებებს იმის შესახებ, რომ 1964 წლის პირველ კვარტალში ან პირველ ნახევარში მოეწყოს 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის სხდომა კომიტეტში წარმოდგენილი ქვეყნების მთავრობათა მეთაურების მონაწილეობით. ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა საჭიროდ მიიჩნია დაიღოს თავდაუსხმელობის პაქტი ნატოს წევრ სახელმწიფოებსა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს შორის.

სიტყვაში დიდი ყურადღება დაეთმო ატომური იარაღისაგან თავისუფალი ზონების შექმნას.

ბულგარეთის დელეგატი მიესალმა იმას, რომ სესიის დღის წესრიგში შეტანილია რუმინეთის მიერ წარმოდგენილი პუნქტი — „ღონისძიებანი რეგიონალურ დონეზე ევროპის სხვადასხვა სოციალური და პოლიტიკური სისტემის ქვეყნებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით“. იგი შეეხო აგრეთვე კოლონიალიზმის სამარცხვინო სისტემის საბოლოო ლიკვიდაციის პრობლემებს. საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობის გაუმჯობესების, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენის საკითხებსა და სხვა პრობლემებს.

ახალი ზელანდიის წარმომადგენელმა ა. მაკინტოშმა თავისი სიტყვა დაიწყო იმით, რომ ხოტბა შეასხა ინგლისელი იმპერიალისტების ქმნილებას მალაიზიის ფედერაციას. იგი ამტკიცებდა, რომ მალაიზია შესაძლებლობას აძლევს სინგაპურსა და სარავაკს განვითარდნენ „აუკავებული, სტაბილური და დემოკრატიული სახელმწიფოს“ ფარგლებში.

ა. მაკინტოში მიესალმა მოსკოვის ხელშეკრულების დადებას და აღნიშნა ნდობის ზრდა სხვადასხვა სახელმწიფოს შორის.

საბერძნეთის წარმომადგენელმა ზოგადი სიტყვებით გამოხატა მოსკოვის ხელშეკრულების მოწონება და მოუწოდა სახელმწიფოებს შეიმუშაონ ქმედითი ღონისძიებანი „ძირგამომთხრელი საქმიანობის“ აღკვეთისათვის, რომელიც, როგორც მან თქვა, იწვევს სამხედრო პოტენციალების ზრდას.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის დელეგატმა გამოიყენა პასუხის გაცემის უფლება და განაცხადა, რომ ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა, გოლდა მეირმა გააყალბა ისტორიული ფაქტები და შეეცადა თავისი სიტყვით შეექმნა შთაბეჭდილება, რომ ისრაელს არა აქვს აგრესიული განზრახვები და სურს მშვიდობა დამყაროს არაბთა ქვეყნებთან.

დღის სხდომის დასასრულს დელეგატებმა ერთხმად მიიღეს გენერალური კომიტეტის რეკომენდაცია შეიტანონ სესიის დღის წესრიგში რუმინეთის მიერ წარმოდგენილი პუნქტი „ღონისძიებანი რეგიონალურ დონეზე ევროპის სხვადასხვა სოციალური და პოლიტიკური სისტემის ქვეყნებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით“.

ნიუ-იორკი, 3 ოქტომბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-18 სესიის სოციალურ, ჰუმანიტარულ და კულტურულ საკითხთა კომიტეტის გუშინდელ დილის სხდომაზე გრძელდებოდა განხილვა დეკლარაციის პროექტისა ყველა სახეობის რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ. წინა დღით პროექტში შეიტანეს 36 შესწორება. ერთი დელეგატის სიტყვით, რომელიც დღეს გამოვიდა, მან მთელი ღამე მოანდომა ამ შესწორებათა „გაცნობას.“.

ცხარე კამათი გაჩაღდა დღეს ბრაზილიის შესწორების გარშემო, რომელიც გუშინ შემოიტანეს და რომელიც შეიცავს მოთხოვნას არა მარტო „დაიგმოს“, არამედ „სისხლის სამართლის თანახმად ისჯებოდეს ყოველგვარი პროპაგანდა, რომელსაც საფუძვლად უდევს ერთი რასის ან გარკვეული კანის ფერის პირთა ჯგუფის უპირატესობის იდეა ან თეორია... ყოველგვარი წაქეზება სიძულვილის და ძალადობისა ყოველი რასის ან სხვა კანის ფერის პირთა ჯგუფის წინააღმდეგ...“

ბრაზილიის შესწორება მოითხოვს აგრეთვე ყველა იმ ორგანიზაციის აკრძალვასა და დაშლას, რომელიც ამგვარ პროპაგანდასა და წაქეზებას ეწევა.

ბრაზილიის შესწორებას მხარი დაუჭირეს ბევრი ქვეყნის, მათ შორის სოციალისტური სახელმწიფოების, ლათინური ამერიკის, აფრიკის ქვეყნების დელეგაციებმა. მის წინააღმდეგ გამოვიდნენ იმპერიალისტური ქვეყნების წარმომადგენლები.

დიდი უურადღებით მოისმინეს კომიტეტის წევრებმა კუბის დელეგატის ბ. ოროსკოს მოსაზრება, მაგრამ მკაფიო გამოსვლა, რომელმაც მხარი დაუჭირა დეკლარაციის პროექტს ყველა სახეობის რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ. მან აღნიშნა, რომ კუბაში სოციალისტური რევოლუციის შედეგად დამყარდა სრული თანასწორობა ფავკანიანებს, თეთრკანიანებსა და მეტისებს შორის. მხოლოდ იმ საზოგადოებაში სადაც არსებობს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, ხაზგასმით აღნიშნა მან, შეიძლება სუფევდეს რასობრივი დისკრიმინაცია. 20 მილიონი ზანგი ამერიკის შეერთებულ შტატებში, აღნიშნა ამასთან დაკავშირებით კუბის დელეგატმა, კვლავ რასობრივი დისკრიმინაციის მსხვერპლია.

კუბის წარმომადგენელმა სოლიდარობა გამოუცხადა იმ ქვეყნების ხალხებს, რომლებიც რასობრივ ჩაგვრას განიცდიან.

კოლონიური სახელმწიფოების წარმომადგენელნი ცდილობენ გამოაცალონ ანტირასისტული მიმართულება დეკლარაციის პროექტს, ცდილობენ დაამტკიცონ, რომ კოლონიალიზმი და რასიზმი არ არის დაკავშირებული ერთმანეთთან.

კოლონიზატორთა ამგვარი მტკიცების წინააღმდეგ, კერძოდ ინგლისის წარმომადგენლის მტკიცების წინააღმდეგ გადაჭრით გაილაშქრა დღეს თავის გამოსვლაში ალჟირის დელეგატმა ქემალ ჰასენემ. მილიონ-ნახევარი, დაღუპული ალჟირელის სახელით, ხუთი მილიონი თანამემამულის სახელით, რომლებიც ერთ დროს საკონცენტრაციო ბანაკებში იყვნენ, თავისი ქვეყნის 84 პროცენტი უწიგნურის სახელით მან მოითხოვა დაიგმოს კოლონიალიზმი, მიღებულ იქნეს დეკლარაცია ყველა სახეობის რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ.



სტევენსონი აღიარებს

ნიუ-იორკი, 2 ოქტომბერი. (საკდესი). საკდესის კორესპონდენტი ლ. პონომარიოვი იუწყება:

გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სოციალურ კომიტეტში სიტყვა წარმოთქვა ამერიკის წარმომადგენელმა ედლაი სტევენსონმა.

სტევენსონი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ რასიზმის აღმოფხვრა ამერიკის შეერთებულ შტატებში „ძალზე ნელა მიმდინარეობს“. ამერიკის წარმომადგენელმა შესაძლოდ მიიჩნია დაეკვეხა, რომ შეერთებულ შტატებში უკანასკნელ ათ წელიწადში ლინჩის წესით გასამართლებული ზანგთა საერთო რიცხვი რამდენადმე შემცირდა. მაგრამ მას არაფერი უთქვამს იმაზე, რომ ამერიკელ ზანგებს, რომლებიც რასობრივი სეგრეგაციის წინააღმდეგ იბრძვიან, ათასობით ამწყვდევენ საპატიმროებში და სპეციალურ ბანაკებში, რომლებსაც შემოვლებული აქვთ ეკლიანი მავთული. პოლიციელთა ძაღლებს უსისინებენ და აქცევენ. ბრანდსპოიტებს წყლის მძლავრ ჭავლებს იყენებენ მათ წინააღმდეგ.

ამერიკის საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა ივლისში მოიწყო მოსახლეობის გამოკითხვა იმის შესახებ, თუ ამერიკის რომელი შინაგანი პრობლემა მიაჩნიათ ამერიკელებს ყველაზე მნიშვნელოვნად. გამოკითხულთა 52 პროცენტს მიაჩნია, რომ ეს არის რასობრივი სეგრეგაცია ამერიკაში.

ინდოეთის

ინდოეთის რესპუბლიკა. საბჭოთა კავშირის დახმარებით აგებულმა ბჰილაის მეტალურგიულმა ქარხანამ უკვე გადაამეტა საპროექტო სიმძლავრეებს პროდუქციის ძირითადი სახეების მიხედვით.

ამჟამად საბჭოთა სპეციალისტებისა და საბჭოთა ტექნიკის დახმარებით მიმდინარეობს საწარმოს გაფართოების სამუშაოები. მშენებლობის დამთავრების შემდეგ მისი სიმძლავრე იქნება 2.5 მილიონი ტონა ფოლადი წელიწადში.

გაფართოების პროგრამა ითვალისწინებს აგების ორი ახალი დიდტვირთულობის ბრძმედი, რომლებიც უდიდესი იქნება აზიაში, უფრო სრულყოფილი ხუთსტენიანი ოთხი მარტენის ღუმელი, ახალი ნაკოქსე ბატარეები, დიდგას მავთულის საგლანავი დგანი და აშენდეს სხვა ობიექტები.

სურათზე: № 5 საკოქსე ბატარეის ლითონკონსტრუქციების მონტაჟი.

ფოტო ვ. ნიკიტინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

მილოგა პრეზიდენტ ნასერთან

კაირო, 2 ოქტომბერი. (საკდესი). მენის საგაზეთო გადმოგვცემს, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერმა დღეს მიიღო გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორი პ. ა. სატიუკოვი და გაზეთ „იზვესტიის“ მთავარი რედაქტორი ა. ი. აჯუბეი.

ჟურნალისტთა შეხვედრაზე

კაირო, 2 ოქტომბერი. (საკდესი). პრეზიდენტმა ნასერმა უპასუხა ჟურნალისტთა III მსოფლიო შეხვედრის მონაწილეთა კითხვებს და გააშუქა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების მიღწევები.

პრეზიდენტმა მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო საერთაშორისო პრობლემებს. ჩვენ, თქვა ნასერმა, მხარს ვუჭერთ ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტას, ატომური იარაღის მოსპობას, თანამიმდევრობით განიარაღებას. მხარს ვუჭერთ აგრეთვე წინადადებას შეიქმნას უატომო ზონა ხმელთაშუა ზღვაში.

ის, რომ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ატომური იარაღის გამოცდის ნაწილობრივი აკრძალვის შესახებ, დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში. ქვეყნები ერთმანეთს უნდა ეჯიბრებოდნენ ეკონომიკის სფეროში და არა ომის მზადებაში. ნასერმა საზგასმით აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ორი ძირითად მსოფლიო დაჯგუფების ლიდერთა პირად კონტაქტებს. მან თქვა, რომ ნეიტრალიტეტურ ქვეყნებს შეუძლიათ არსებითი როლი შეასრულონ ყველა პოზიტიური ნაბიჯის მხარდაჭერის საქმეში.

მეგობრობის ერთთვიური

ტოკიო, 2 ოქტომბერი. (საკდესი). იაპონიაში დაიწყო საბჭოთა კავშირთან მეგობრობის ერთთვიური. ერთთვიური მოეწყო „იაპონია-საბჭოთა კავშირის“ საზოგადოების ინიციატივით, რომელიც აერთიანებს მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებს.

ერთთვიური გასტანს ნოემბრის ბოლომდე და მოეწყობა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის 46-ე წლისთავის დღესასწაულის, საბჭოთა კავშირთან საზავო ხელშეკრულების უსწრაფესად დადების, ორივე ქვეყანას შორის ეკონომიური, კულტურული კავშირის განვითარებისა და განმტკიცების ნიშნით.

ერთთვიურის დროს იაპონიის ბევრ ქალაქში გაიმართება მიტინგები, კრებები, შეხვედრები, რომელთა მონაწილენი უფრო ახლო გაეცნობიან საბჭოთა ხალხის ცხოვრებას, მოითხოვენ ყველა იმ დაბრკოლების გადალახვას, რაც საბჭოთა ქვეყანასთან მეგობრობის განვითარებას ეღობება.

ქარიშხალი ტოგაგოზე

ნიუ-იორკი, 2 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ კარიბის ზღვის პატარა კუნძულ ტობაგოს საშინელი ძალის ქარიშხალმა გადაუარა. ქარიშხლის სიჩქარე საათში 110 მილს აღწევდა. ქარიშხლის შედეგად დაიხოცა 17 კაცი, ასობით ადამიანი დაშავდა და უსახლკაროდ დარჩა.

ისინი, ვინც ამ ამბავს დაესწრო, ამბობენ რომ კუნძული ნანგრევებად იქცა. ზარალის დადგენა შეუძლებელია, რადგან კავშირი კუნძულის დედაქალაქ სკარბოროს და სხვა პუნქტებს შორის გაწყვეტილია. სკარბოროში დანგრეულია ბევრი შენობა. ქარიშხალმა გაანადგურა კაკაოს პლანტაციები, დიდი ზიანი მიაყენა მეცხოველეობას. ქარი ისეთი ძლიერი იყო, განაცხადა ერთმა ფერმერმა, რომ ჩემი სამი ცხენი 15-დან 30 მეტრ სიმაღლეზე აიტაცა პაერში, შემდეგ კი მიწაზე დაანარცხა. ტობაგოზე საკვებით წესებია გამოცხადებული.

კომუნისტი
№-ს ფურცელი, პარასკევი,
4 ოქტომბერი, 1963 წ.

მაკნამარა — ჯეილორის მისია დამთავრდა

ვაშინგტონი, 2 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ვაშედჩენკო იუწყება:

ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი რ. მაკნამარა და შტატების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარე გენერალი მ. ტეილორი დღეს სამხრეთ ვიეტნამში საინსპექციო მოგზაურობიდან დაბრუნდნენ.

მათი ამოცანა იყო გამოერკვიათ, საკმაოდ ენერგიულად და ეფექტიანად წარმოებს თუ არა ომი სამხრეთ ვიეტნამის პატრიოტული ძალების წინააღმდეგ, და ხომ არ მოუხდენია პოლიტიკურ კრიზისს სამხრეთ ვიეტნამში უარყოფითი გავლენა სამხრეთ ვიეტნამის მოქმედების მსვლელობაზე.

ვაშინგტონში, როგორც ცნობილია, უკმაყოფილო არიან სამის მდგომარეობით სამხრეთ ვიეტნამში, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. სენატორმა ფ. მანსფილდმა (დემოკრატი, სამხრეთ დაკოტის შტატი) ამ დღეებში განაცხადა, რომ სამხრეთ ვიეტნამისადმი სამხედრო დახმარების ამერიკული პროგრამა „მორალური განადგურებისა და პოლიტიკური დამარცხების პოლიტიკაა“.

აქ არ მალავენ, რომ სურთ რამდენადმე გადაახალისონ ნგო დინ დიემი მთავრობა, მაგრამ ნგო დინ დიემი რაკი ხედავს, რომ მისი შეცვლა შეერთებული შტატების თვალში არავის შეუძლია, ნებას აძლევს თავის თავს არ დაემორჩილოს თავის პატრონს.

მაკნამარა და ტეილორი სამხრეთ ვიეტნამში ჩავიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ კენედის ინიციატივით. ვაშინგტონში საჭიროდ არ დაუნახავთ, თუნდაც მოთათბირებოდნენ ან შეეთანხმებინათ ეს ვიზიტი ნგო დინ დიემთან. ეს, რა თქმა უნდა, არც აირის გაკვირვა, რამდენადაც ომი ვიეტნამში უწინარეს ყოვლისა ამერიკის კამპანიაა, ხოლო ამერიკის სამხედრო მისია სამხრეთ ვიეტნამში ფაქტიურად არის სახელმწიფო სახელმწიფოში.

მაკნამარა და გენერალი ტეილორი ერთ კვირას იყვნენ სამხრეთ ვიეტნამში. მათ მოიარეს საომარი მოქმედების ყველა ძირითადი რაიონი, ესაუბრნენ ყველა რანგის ამერიკელ და სამხრეთვიეტნამელ სამხედრო პირებს. აგრეთვე ნგო დინ დიემსა და მისი კაბინეტის წევრებს. მაკნამარამ და ტეილორმა დათვალიერეს აგრეთვე სამხედრო მომზადების ბანაკები.

სამხედრო და პოლიტიკური ვითარების გაცნობის საფუძველზე მაკნამარა და ტეილორი პრეზიდენტ კენედის წარუდგენენ საიდუმლო მოხსენებას, რომელზედაც, როგორც ამერიკის პრესა აღნიშნავს, დამოკიდებული იქნება შემდგომი კურსი ამერიკის პოლიტიკისა სამხრეთ ვიეტნამში.

ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის კონფერენცია

ალჟირი, 3 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ აქ გაიმართა ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის კონფერენცია. კონფერენციის გადაწყვეტილებაში, რომელიც რადიოთი გამოცხადდა, ხაზგასმითა აღნიშნული, რომ ითვალისწინებს რა ალჟირში შექმნილ სერიოზულ მდგომარეობას კონტრრევოლუციურ გამოსვლებთან დაკავშირებით, კონფერენციამ დაადგინა: 1. ეროვნულ კრებაში შეიტანოს წინადადება იმის შესახებ, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტს მიენიჭოს სპეციალური უფლებები; 2. ალჟირის მთელ ტერიტორიაზე შეიქმნას სიფხიზლის კომიტეტები; 3. შეიქმნას სახალხო მილიცია.

დადგენილებაში გამოთქმულია გადაწყვეტილება ებრძოლონ, ალჟირის როგორც შინაურ, ისეე გარეშე მტრებს.

მეკოგრეეგი კლავ არ ცხრეგიან

ორიენტის პროვინციის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე, კაიო გუინის რაიონში“.

ცნობაში აღნიშნულია, რომ თავდასხმის შემდეგ ხომალდი ჩრდილოეთის მიმართულებით მიიმალა.

ჰავანა, 2 ოქტომბერი. (საკდესი). კუბის რევოლუციური შეიარაღებული ძალების ხამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა იმის შესახებ, რომ მოხდა ახალი მეკობრული თავდასხმა თავისუფლების კუნძულზე. ცნობაში ნათქვამია: „1 ოქტომბერს, დაახლოებით ღამის 2 საათსა და 50 წუთზე, მეკობრულმა ხომალდმა სიბენელიდან სროლა აუტეხა ხე-ტყის სატბერხ ქარხანას, რომელიც მდებარეობს

ჯვარისწერა საღრჩობელაზე

ნოველა

ედამიწაზე არის რამდენიმე ქვეყანა, რომელთა კანონები ნამდვილი სასწაულია.

აქვთ ყველა ჯურის საერო და სასულიერო დაწესებულებანი, ნაირ-ნაირი ტრესტამპანიები და ასე განსაჯეთ სამართალი და გაზეთებიც.

აი მაგალითად, ერთი გაზეთი, ათავსებს ასეთ სენსაციურ განცხადებას: „მე ანრი ჯოუ ვალენს, მომისაჯეს დახვრეტა. ხვალ დილით განაჩენი სისრულეში მოვა. მომივიდა სურვილი ცოლის შერთვის. ვისაც სურს ჩემი ქვრივის სახელი ატაროს, გთხოვთ 7 საათზე სპატიმროში“.

და განცხადებამ მთელი ქალაქი შემოირბინა, ბევრი გააცინა, ბევრი დააფიქრა, ბევრს გულისყური მოსტაცა, ბევრს მსჯავრდებულის პორტრეტმა, რომელიც განცხადებას დიდი ფორმატით ჰქონდა დართული ცრემლიც ადინა.

იმ დილით, მეგაზეთეების ღრიანცელი იკლებდა ქუჩებს. ციხის დერეფანში კი ფეხის ხმა ისმოდა და თანდათან უახლოვდებოდა პატიმრის სმენას. პატიმარი ნახტომით აეკრა რკინის ჯებირს და თვალი გააცეცა.

მეციხოვნეს მხარდამხარ მოჰყვებოდა სფეთქლებშეჭერცხლილი, ოდნავ მკერდშეზნექილი, ხმელი, მაღალი, სათვალიანი კაცი. კაცს დაეკცილი გაზეთი ეჭირა ხელში.

— ხამსონ! — გამოსძახა პატიმარმა.

— ბომბეკენ! — გაეპასუხა სათვალიანი და გაზეთიანი ხელი ასწია.

პატიმარმა მარჯვენი, მთელი სიგრძით გამოჰყო რკინის ჯებირიდან და მიაბლოკებულ მეგობარს გაზეთი გამოსტაცა.

მეციხოვნემ გასაღებები აარხაკუნა.

— მოგწონს? — შეეკითხა ხამსონი,— შენი უკანასკნელი პრემიერის რეკლამა.

— დიდებულია! — უპასუხა ვალერმა ხავერდოვანი ბარიტონით, — წონასწორობას ვკარგავ! და გახსნილ გაზეთში თავი ჩარგო...

შვიდი საათი იყო. განცხადებას ციხის კარებთან რამდენიმე ქალი მოეგროვებინა. ერთი ქალი თუთუნს აბოლებდა და ბოლოთას სცემდა. ამპარტავანიც სჩანდა და სამოსითაც განსხვავდებოდა სხვებისაგან. მანტოიანი დარბაზის კუთხეში იდგა, აბუზული და გაოგნებული. დანარჩენები გაფანტულიყვნენ.

ქალები თვალით ეძებდნენ ერთმანეთს. მეტოქეთა ნაკლისა და უპირატესობის დაჯამებით იწყალებდნენ გონებას. პატიმრის გამოჩენაზე შეიშმუშნენ, შეკრთნენ, სიგარეტიანი სახსრებში დაშლილი-ვით წამოვიდა წინ. გამეტებით ეჩაჩავდა თუთუნს და დაკლაკნილ რგოლებს უმიზნებდა პატიმარს.

პატიმარს ქერა თმა ტალღებად ეფინა თავზე. დიდი ლურჯი თვალები ელექტრონს შუაზე უფრო ულრმავდებოდა და უმუქდებოდა. სჩრაფად გადაათვალიერა დარბაზის შუაგულში ნაუცბათევად შექუჩული ქალები.

იქ რვა ქალი იყო, რვა უკუღმართათ დალაგებული ცხოვრება, რვა სურვილი და რვა იმედი. იმედი ყველაზე ერთგული თანამგზავრი ყოფილა ადამიანისა, რაკი უკანასკნელ ამოსუნთქვასთან ერთად სტოვებს მას.

პატიმარმა ხელები უკან დაიწყო და გამომძიებელივით დააკვირდა თვითეულს.

სიგარეტიანმა ცეცხლიანი სიგარეტი კუთხეში მოიქნია და ხელები ჯვარედინად შემოიწყო მკერდზე.

პატიმარმა აბუზულ მანტოიანს „გახედა“ და გაიფიქრა: საბრალო ფეხძმიმეთაა... ასეთი მუცლით რისი იმედი ჰქონდა ნეტა? თვალი სხვებზე გადაატანა, მაგრამ ფიქრი შეუჩნდა გაბოროტებით და არ დააყენა. ისევ მანტოიანს ჩაავლერდა.

— არა, რატომ, პირიქით, ეს ყველაზე მძიმე ტვირთითაა ამ ქვეყანაზე, დედაო! — კინაღამ შეიყვირა და ფეხძმიმეს ჰკითხა: — თქვენ რა გქვიათ?

— ყოზი! —უპასუხა ქალმა ისეთი სათნოებით, რომ მოქიშპეებიც კი დააყუჩა. არჩევანის აცილებით გამოწვეული წყრომაც დაუცხრათ, თითქოს ყველა ამ ქალის ბედის გადასწყვეტად მოხულიყო აქ.

ყოზის შავი, წყნარი თვალები ჰქონდა; შავი თმა, მოკლედ შეკრეჭილი; შავი, ნამწამები ქუთუთოზე დარაჯებად; სახე თაფლისფერი; ლოყა წითელი. ტუჩები! ო, რა ტუჩები აქვს? გაიფიქრა პატიმარმა და ხაგანგებოდ ყველა ქალის ტუჩი შეათვალიერა.

გადაწყდა, ჩემი ქვრივი ყოზი!

ჭერ დანარჩენები დავითხოვოთ. ხელები ჩამოუშვა და მცველს გასძახა:

—პატონო ჩემო, ავირჩიე ჩემი სულის დედოფალი, აი ეს ქალიშვილი. უმორჩილესად გთხოვთ, დანარჩენები გააცილოთ კარებამდე.

ქალები სასომიხდილი შეჰყურებდნენ პატიმარს და მის რჩეულს. ერთმა წინადადებამ შვიდი ქალის იმედი დაშანთა და დაწვა.

პასტორსა და მეციხოვნეს თვალები გაუფართოვდათ.

მცველს გაკვირვებამ უჩვეული ღიმილი მოგვარა.

ყოზი შეწუხდა. თვალზე ცრემლი აუკიაფდა.

— ანრი რა მოგვიდა? — საყვედურით ჩაერია სამსონი.

— ცოლია ჩემი! — იღრინებოდა პატიმარი, — კანონი მანებივრებს.

დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ანრიმ თავშეკავება დაიბრუნა და დაყვავებით ჰკითხა, საცოლეს:

— მიჯავრდებით, ყოზი!

— არა, ბატონო ჩემო!

— მაშ მიპასუხეთ კითხვაზე! —ჰიუტობდა პატიმარი.

სამსონი სათვალეს აწვალებდა ნერვიულად.

— როდენებთან ვმუშაობდი ხელზე მოახლედ, — დაიწყო მწყრალად მორჩილებას ჩვეულმა. მათ უფროს ვაუსა და მე შეგვიყვარდა ერთმანეთი. მისმა მშობლებმა დამითხოვეს... თავის მოკვლა გადავწყვიტე და საწამლავიც ვიყიდე. მეგაზეთეები თქვენს განცხადებას ზეპირად გაჰკიოდენ. გაზეთი ვიყიდე და აქ წამოვედი... ცოტა შეუოვნდა, წამწამები აფაფეფურა, თავი ასწია და გაბედულად დაამთავრა:

— თუ კი ჩემი შვილი მამის სახელს ეღირსება, მე თავს აღარ მოვიკლავ!..

— მისს, რა მნიშვნელობა აქვს სახელს? — იკითხა მზრუნველობით სამსონმა. ბავშვს ხვალიდან მამა მაინც არ ეყოლება.

— რას ლაპარაკობთ!.. შეიკიცხა ქალმა და გაავებული თვალები შეანათა სამსონს: — უსახელო მოახლის, უსახელო შვილის ბედი ქუჩაა. იმედი სასაფლაო... სურვილი კი კარგად გაძღომა... მაპატიეთ, — მოიბოდიშა ქალმა. თავი ჩაღუნა და დაცხრა.

სამსონს სათვალე მოეხსნა და დაბნეული უყურებდა ყოზის. სიჩუმე ისევ ქალმა დაარღვია.

— თქვენ ორი სიცოცხლე იხსენით... ზღვა მადლი ჩაიდინეთ სიკვდილის წინ, თუ რამ ცოდო მიგიძღვით ხაჟაოს, ღმერთმა შეგინდოთ! — უთხრა და პირჯვარი გადაისახა.

— ჩემი ცოდო იმდენად დიდია, ჩემო კარგო, რომ თქვენი ლოც

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

ჰარგი ინიციატივა

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ინიციატივით საზოგადოებრივ საწყისებზე რამოყალიბდა საშემსრულებლო სექცია, რომელსაც კომპოზიტორი ქალი ე. ექსანიშვილი ხელმძღვანელობს. სექციის წევრები არიან ცნობილი ქართველი პიანისტები, ვოკალისტები, ვიოლინოს დამკვრელები. მათი მიზანია პროპაგანდა გაუწიონ ქართულ და საბჭოთა ხალხთა მუსიკას.

ამას წინათ სექციამ შეხვედრა მოუწყო გამოჩენილ პიანისტს, პროფესორ ალექსანდრე იოხელესს. შეხვედრაზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. თორაძე, კომპოზიტორები ა. მაკერუბაშვილი, ნ. გაბუნია და სხვ. ა. იოხელესი აირჩიეს სექციის საპატიო წევრად.

სტუმარმა დამსწრეთ გააცნო თავისი შემოქმედებითი გეგმები და შესასრულა რამდენიმე ნაწარმოები.

ა. ჯორჯიაშვილი.

მთაში ექიმები მოვიდნენ

მაიაკოვსკი. (საკ. კორ.). კარგი ინიციატივა გამოიჩინეს რაიონული საავადმყოფოს ექიმებმა. ისინი კვირაში ერთხელ მიდიან რაიონის ცენტრიდან დაშორებულ მაღალმთიან სოფლებში და ადგილზე საჭირო დახმარებას უწევენ მშრომელებს.

ამ დღეებში ექიმები ა. პატარიძე, გ. სებისკვერაძე, გ. ჭაშაკაშვილი, თ. ბერძენიშვილი, შ. ტყეშელაშვილი და მ. ლილუაშვილი მაღალმთიან სოფელ ბახს ეწვივნენ. მათ ადგილზე გასინჯეს ავადმყოფები, აღმოუჩინეს საჭირო დახმარება და კოლმეურნეებს ესაუბრნენ მთელ რიგ დაავადებათა მკურნალობისა და პროფილაქტიკის საკითხებზე.

ექიმთა ბრიგადამ შეამოწმა აგრეთვე ამ სოფლის საშუალო სკოლის მოსწავლეთა ჯანმრთელობა.

მებარიტეთა დაბაში

ამბროლაური. (საკ. კორ.). იზრდება და კეთილმოწყობილი ხდება ქართველ მებარიტეთა დაბა ირი. მის შემოგარენს აშენებენ ახალაგებული ბარიტის გამამდიდრებელი ფაბრიკის მაღალი კორპუსები, მაღაროთა სამმართველოს აღმინისტრაციული შენობა, ორასადგილიანი კლუბი, სასპორტო მოედნები, მებარიტეთა სამსახურშია რადიოკვანძი, კავშირგაბმულობის კანტორა, სასადილო, მაღაზია, ბიბლიოთეკა და საექიმო პუნქტი.

ბოლო წლებში აქ აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ათამდე საცხოვრებელი სახლი. ამას წინათ მშენებლებმა დაამთავრეს სამსართულიანი საცხოვრებელი სახლის აგება. მებარიტეთა 33 ოჯახმა უკვე მიიღო კეთილმოწყობილი და ნათელი ბინა. საფუძველი ჩაეყარა კიდევ ერთი სამსართულიანი, ოცდაცამეტბინიანი სახლის მშენებლობას.

ზრომის დაცვის ინსტიტუტი

ჰიათურა. (საკ. კორ.). მაღაროებში თანდათან მკვიდრდება საზოგადოებრივი საწყისები. ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროში იყო ტექნიკური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტი. ახლა აქ შეიქმნა შრომის კანონმდებლობის დაცვის ინსტიტუტი, სადაც ათეულობით მაღაროელი და პროფსაქციოსტი გაერთიანდა. ინსტიტუტის რექტორია მუშათა პროფკავშირული კომიტეტის თავმჯდომარე აკ. მაჭარაშვილი. ინსტიტუტის მსმენელები აქ შეისწავლიან შრომის კანონმდებლობასა და შრომის დაცვის საფუძვლებს.

ექიმის ძეგლი



ბარშემო, სადამდეც ადამიანის თვალი მისწვდება, ნაცრისფერი მინდვრებია. კასპიისპირეთის უკიდეგანო ტრამალებში ვერ იპოვნით ვერც ხეს, ვერც ბუჩქს, მხოლოდ ავშანი, ვაციწვერა და სხვა ბალახები შრიალებენ ნიავზე.

ბაჯიგანი კი ნამდვილი ოაზისია, არტეზიულ ჭასთან ტანი აუურია მცენარეებს, ხარობს ქართული ვაზიც, ნაირფერად ყვავილები ატკბობენ ადამიანის სულსა და გულს. მე თვითონ მინახავს, როგორ იყო გადახრუკული ეს მიდამოები ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ, და ახლა ამ მწვანე ტევრს რომ ჩაუვლით, არ შეიძლება არ იკითხოთ, რომელმა მადლიანმა ხელმა ახარა ჭადარი და ალვისხე, ალუბალი და კედარი, ვაშლი და მსხალი ნოღაეთის ნახეკრადღუბანში?

ყოველი მწყემსი, მთელ ზამთარს ცხვარს რომ აქ ამოვებს, ყოველი მენავთობე, რომელიც აქედან არც ისე შორს ნავთობის სარეწებზე შრომობს, დაბეჯითებით გეტყვით, რომ ყველაფერი ეს გაკეთებულია ექიმ ამირან გიორგის-ძე შუბლაძის გამრჯე, მოსიყვარულე ხელით.

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ამირან შუბლაძე ბაჯიგანის საავადმყოფოს გამგედ დანიშნეს, ზოგიერთი „კეთილისმსურველი“ ამბობდა: — რა გინდა იმ გადასაკარგავში, ინსტიტუტი იმისათვის დაამთავრე, რომ კოლოებს შეეჭამო თავი? მაგრამ ახალგაზრდამ სინდისს არ უღალატა. მართალია, ბაჯიგანში მას მხოლოდ გადახრუკული მინდორი და უღიმღამო ქოხი დახვდა, მაგრამ გული არ გასტეხია. შეუპოვარმა შრომამ თავისი გაიტანა: მალე აშენდა საავადმყოფოს ახალი შენობა, გაიხარეს ამირანის ხელით დარგულმა მცენარეებმაც.

ამირანი დიდი პატივისცემით სარგებლობდა ქართველ მწყემსებში. ის იყო ჭეშმარიტად სახალხო ექიმი, რომელიც დარსა და ავდარში, დღისით და ღამით მზად იყო დახმარებოდა ავადმყოფს. იგი გულით უყვარდათ ნავთის მაძიებლებს — მუშური სინდისის ადამიანებს. მათ შორის არიან რუსები, დაღესტნელები, ჩეჩნები, ინგუშები. ალბათ ეს სიყვარული იყო მიზეზი, რომ ამირანს არასოდეს არ უფიქრია ბაჯიგანიდან წასვლა, თუმცა ამის უფლება ჰქონდა. მან ხომ ნოღაეთში ცხრა წელიწადზე მეტი გაატარა.

ულმობელმა სიკვდილმა ხელიდან გამოგვტაცა ჯერ კიდევ ჭანღონით სავსე ახალგაზრდა მკურნალი. ამირანი გარდაიცვალა შარშან, საქართველოს დედაქალაქში, მაგრამ მისი ხსოვნა ოდნავაც არ შესუსტებულა მეგობრებისა და ამხანაგების გულში. მადლიერმა მენავთობეებმა მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად ბაჯიგნის საავადმყოფოს ეზოში ობელისკი აღმართეს, რომელსაც უბრალოდ აწერია:

ძვირფას ამირან გიორგის-ძე შუბლაძეს მეგობარ მენავთობეებისაგან.

ასე აიგო ძეგლი ექიმმა მოკალაქემ ნოღაეთის ტრამალებში.

ა. თომაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.
ბაჯიგანი, დაღესტნის ასსრ.

ოემოქმედების სიხარული

ამას წინათ მოსკოვის კონსერვატორიასთან არსებულმა სამუსიკო სასწავლებელმა ფართოდ აღნიშნა არფის კლასის ხელმძღვანელის, დოცენტ მიხეილ მჭედლიშვილის პედაგოგიური, არტისტული და შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წლისთავი. ამ თვალსაჩინო მოღვაწემ ცხოვრების ნახევარზე მეტი მოსკოვში გაატარა.

მ. მჭედლიშვილი პირველი ქართველი იყო, რომელმაც სერიოზულად მოჰკიდა ხელი ძველ მუსიკალურ საკრავს — არფას და ბრწყინვალედ დაეუფლა მას. დღეს მისი სახელი, როგორც გამოჩენილი არფისტის და პედაგოგისა, ცნობილია საბჭოთა კავშირის გარეთაც.

მიხეილ მჭედლიშვილი დაიბადა 1903 წელს ქ. ბათუმში, ინტელიგენტის ოჯახში. მან ბავშვობიდანვე შეიყვარა მუსიკა, თავდაპირველად ფორტეპიანოს ეტრფოდა, მაგრამ მალე გიტარამ გაიტაცა, რომელმაც შემდეგში გადამწყვეტი როლი შეასრულა მის სულიერ ცხოვრებაში.

ოცი წლისა იყო მიხეილი, როცა თბილისში ჩამოვიდა და კომპოზიციის შესასწავლად კონსერვატორიაში დაუპირა შესვლა, მაგრამ ის დარგი აქ არ არსებობდა, ამიტომ მას სხვა კლასში შესვლა ურჩიეს. მიხეილმა სიმებიანი საკრავი — არფა აირჩია. საგულისხმოა, რომ ეს პოეტური მუსიკალური საკრავი შესატყვისი აღმოჩნდა მისი შინაგანი ბუნებისათვის. იგი იშვიათი გატაცებით შეუდგა ამ რთული და სპეციფიკური საკრავის დაუფლებას. ამავე დროს ლექციებს ისმენდა მუსიკის თეორიაში ზ. ფალიაშვილთან და ი. კარგარეთელთან.

1924 წელს თბილისის კონსერვატორიის დირექტორად მოიწვიეს ცნობილი რუსი კომპოზიტორი მ. იპოლიტოვ-ივანოვი. მან ჩამოსვლისთანავე განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინა მ. მჭედლიშვილის მიმართ. მისი ინიციატივით მ. მჭედლიშვილი 1925 წელს გაგზავნეს მოსკოვში, სადაც ჯერ მუსიკალურ მუშფაკში სწავლობდა არფას, შემდეგ გადაიყვანეს კონსერვატორიაში და ჩარიცხეს გამოჩენილი არფისტის, პროფესორ პარფენოვის კლასში. 1934 წელს მ. მჭედლიშვილმა ბრწყინვალედ დაამთავრა მოსკოვის კონსერვატორია და მაშინვე დაიკავა მოწინავე ადგილი საბჭოთა არფისტებს შორის.

ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში შეუდგა მ. მჭედლიშვილი საშემსრულებლო მოღვაწეობას, რასაც 1949 წლამდე ეწეოდა, ამ ხნის განმავლობაში იგი არფის პირველ პარტიებს ასრულებდა მოსკოვის სხვადასხვა სიმფონიურ კოლექტივში კონსერვატორიის ორკესტრიდან საბჭოთა კავშირის დიდ სიმფონიურ ორკესტრამდე.

თითქმის იმავე წლებში იწყება მ. მჭედლიშვილის პედაგოგიური და შემოქმედებითი მოღვაწეობა. როგორც პედაგოგი იგი აყალიბებს არფის ძლიერ კლასებს მოსკოვის ცენტრალურ მუსიკალურ სკოლაში და სამუსიკო სასწავლებელში, სადაც დღევანდლამდე განაგრძობს მუშაობას.

მ. მჭედლიშვილს არფაზე სწავლების თავისი საკუთარი სკოლა აქვს, რომელსაც წარმატებით იყენებენ პედაგოგიურ მოღვაწეობაში სხვა საბჭოთა არფისტებიც. მის გასაცნობად სახალხო-დემოკრატიული ქვეყნებიდანაც ჩამოდიან. მაგალითად, უნგრეთის კონსერვატორიის პროფესორი რ. გენრიკი, რომელიც 1958 წელს დაესწრო მ. მჭედლიშვილის კლასის მეცადინეობას, აღფრთოვანებით წერდა: „ბევრი საზღვარგარეთის არფისტი მომისმენია, გამიცანია მათი პედაგოგიური სისტემა, მაგრამ არც ერთი მათგანის არფის სკოლა ისე არ მომწონებია, როგორც თქვენი“.

ცნობილი ამერიკელი არფისტი ორისტედ ვურსელერი ამერიკულ ჟურნალ „მუსიკაში“ წერდა: „ამჟამად საბჭოთა კავშირში ყველაზე გამოჩენილ არფისტად ითვლება მ. მჭედლიშვილი. იგი თვალსაჩინო პედაგოგია და ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელიც განუწყვეტლივ ზრუნავს არფისათვის მუსიკალური ლიტერატურის გამდიდრებაზე“.

მართლაც საბჭოთა არფისტებს შორის მართ. მისი ინიციატივით მ. მჭედლიშვილი 1925 წელს გაგზავნეს მოსკოვში, სადაც ჯერ მუსიკალურ მუშფაკში სწავლობდა არფას, შემდეგ გადაიყვანეს კონსერვატორიაში და ჩარიცხეს გამოჩენილი არფისტის, პროფესორ პარფენოვის კლასში. 1934 წელს მ. მჭედლიშვილმა ბრწყინვალედ დაამთავრა მოსკოვის კონსერვატორია და მაშინვე დაიკავა მოწინავე ადგილი საბჭოთა არფისტებს შორის.

ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში შეუდგა მ. მჭედლიშვილი საშემსრულებლო მოღვაწეობას, რასაც 1949 წლამდე ეწეოდა, ამ ხნის განმავლობაში იგი არფის პირველ პარტიებს ასრულებდა მოსკოვის სხვადასხვა სიმფონიურ კოლექტივში კონსერვატორიის ორკესტრიდან საბჭოთა კავშირის დიდ სიმფონიურ ორკესტრამდე.

თითქმის იმავე წლებში იწყება მ. მჭედლიშვილის პედაგოგიური და შემოქმედებითი მოღვაწეობა. როგორც პედაგოგი იგი აყალიბებს არფის ძლიერ კლასებს მოსკოვის ცენტრალურ მუსიკალურ სკოლაში და სამუსიკო სასწავლებელში, სადაც დღევანდლამდე განაგრძობს მუშაობას.

მ. მჭედლიშვილს არფაზე სწავლების თავისი საკუთარი სკოლა აქვს, რომელსაც წარმატებით იყენებენ პედაგოგიურ მოღვაწეობაში სხვა საბჭოთა არფისტებიც. მის გასაცნობად სახალხო-დემოკრატიული ქვეყნებიდანაც ჩამოდიან. მაგალითად, უნგრეთის კონსერვატორიის პროფესორი რ. გენრიკი, რომელიც 1958 წელს დაესწრო მ. მჭედლიშვილის კლასის მეცადინეობას, აღფრთოვანებით წერდა: „ბევრი საზღვარგარეთის არფისტი მომისმენია, გამიცანია მათი პედაგოგიური სისტემა, მაგრამ არც ერთი მათგანის არფის სკოლა ისე არ მომწონებია, როგორც თქვენი“.

ცნობილი ამერიკელი არფისტი ორისტედ ვურსელერი ამერიკულ ჟურნალ „მუსიკაში“ წერდა: „ამჟამად საბჭოთა კავშირში ყველაზე გამოჩენილ არფისტად ითვლება მ. მჭედლიშვილი. იგი თვალსაჩინო პედაგოგია და ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელიც განუწყვეტლივ ზრუნავს არფისათვის მუსიკალური ლიტერატურის გამდიდრებაზე“.

მართლაც საბჭოთა არფისტებს შორის მ. მჭედლიშვილი პირველთაგანია, რომელსაც დიდძალი ლიტერატურა აქვს შექმნილი ამ საკრავისათვის. მის კომპოზიტორულ მოღვაწეობაში მთავარი ადგილი უჭირავს ისეთ ჟანრებს, როგორიც არის: ეტიუდები, პრელუდიები, პოემები, სიუიტები დაწერილი ერთი ან რამდენიმე არფისათვის. მათი უმრავლესობა უკვე დაბეჭდილია მოსკოვის მუსიკალური გამომცემლობის მიერ.

მისი შემოქმედებიდან ამ უკანასკნელ ხანს საყოველთაო პოპულარობა მოიპოვა სიუიტამ „საქართველოში“, რომელიც ოთხი ნაწილისაგან შედგება: „ალაზნის ველი“, „სალამური“, „სასახლე მთებში“ და „სადღეასასწაულო“. სხვათა შორის, ამ ნაწარმოებმა დიდი მოწონება დაიმახსოვრა ევროპის ქვეყნებშიც. ბუდაპეშტის ოპერის სოლისტი ლუზიკ ხედი სწერდა ავტორს: „მე ისე ძლიერ მომეწონა თქვენი მშვენიერი სიუიტა „საქართველოში“, რომ იგი უკვე შევისწავლე და ახლო მომავალში დაიწყებ მის შესრულებას კონცერტებზე“. უფრო საყურადღებო ცნობას იძლევა ამის შესახებ დანიის სამუსიკო აკადემიის პროფესორი ინგა გრო. ამას წინათ მოსკოვში საბჭოთა არფისტებთან შეხვედრის დროს მან განაცხადა, რომ დანიასა და გერმანიაში დიდი წარმატებით სრულდება მ. მჭედლიშვილის სიუიტა „საქართველოში“.

საკუთარი ნაწარმოებების გარდა მ. მჭედლიშვილს არფაზე შესასრულებლად გადატანილი აქვს ბახის, მოცარტის, ბეთჰოვენის, მენდელსონის, სენ-სანსის, რაველის, რახმანინოვის, გლიერის, ხაჩატურიანის და სხვა კომპოზიტორების ნაწარმოებნი. ქართველ კომპოზიტორთაგან — „დინარას სიმღერა“ დ. არაყიშვილის კომიკურ ოპერა „დინარადან“ და „იავნანა“ ლ. ფალიაშვილის ამავე სახელწოდების სიმფონიურ სუიტიდან.

არფის ლიტერატურის გასაფართოებლად მ. მჭედლიშვილი ხშირად მიმართავს ხალხური მუსიკის ნიმუშებსაც. იგი დიდი მხატვრული გემოვნებით და ოსტატობით ამუშავებს რუსულ, ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ჩინურ და სხვა ხალხთა სასიმღერო და ინსტრუმენტულ ჰანგებს. ქართული ფოლკლორიდან აღსანიშნავია მის მიერ დამუშავებული მეგრული სიმღერები „ჩელა“ და „სისატურა“.

მალე მ. მჭედლიშვილი საზოგადოებას წარუდგენს ახალ საინტერესო ნაწარმოებს — ფანტაზიას, რომელსაც „სამშობლო“ ეწოდება. იგი მიეძღვნება შუბლიერ საქართველოს. ეს ნაწარმოები, რომელშიც ავტორს გამოყენებული აქვს ქართული ხალხური სტილის ინტონაციები, ნაოლი ლირიკული განწყობილებითა და მელოდიურობით გამოირჩევა.

მიხეილ მჭედლიშვილის სახით ჩვენ გვყავს დიდი მასშტაბის ხელოვანი, არფის შესანიშნავი მცოდნე, ფართო მუსიკალური კულტურით აღჭურვილი პედაგოგი და კომპოზიტორი, რომელიც მთელი თავისი ნიჭით და შემოქმედებითი ენთუზიაზმით თავდადებით ემსახურება საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების კეთილშობილურ მიზნებს.

ა. მუგელიძე,
მუსიკათმცოდნე.
მოსკოვი.

სურათზე: მ. მჭედლიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერების პროგლემები

მზარსზე გაფრენა უკვე ფანტასტიკა მწერლების თემა როდია, რომლებიც ამასთან ამჯობინებენ სადღაც რაც შეიძლება შორს, მაგალითად, ანდრომედას ნისლოვნებაში გაგზავნონ თავიანი გმირები, არამედ ინსტიტუტებისა და ლაბორატორიების სამეცნიერო სამუშაოთა თემაა. მარსზე გაფრენისათვის მზადება, ამასთან სერიოზული მზადება, უკვე დაიწყო. ძალიან ადრე ხომ არ არის? აქამდე ხომ ადამიანის ფრენა კოსმოსში დედამიწის ზედ „ნაპირთან“ ხდებოდა და უცებ... მარსი. რამდენი პრინციპულად ახალი პრობლემის გადაჭრაა საჭირო!

ჯერ ერთი, მარსზე გაფრენა და უკან გამოფრენა უნდა გრძელდებოდეს ერთ წელიწადს მაინც, ამასთან ამ დროის მეტ წილს კოსმონავტები უწონობის მდგომარეობაში უნდა იყოს. გაუძლებს ადამიანის ორგანიზმი ასეთ პირობებს? ეს რომ შევიტყოთ, როგორც ჩანს, საჭირო იქნება, ვიდრე მარსზე გაფრენდებით შეეკმნათ ორბიტალური სადგურები, რომლებიც დედამიწის გარშემო შედარებით მცირე სიმაღლეზე იფრენენ. ამ სადგურებზე კოსმონავტები რამდენიმე თვის მანძილზე გამოსცდიან უწონობის მდგომარეობას. ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ კოსმონავტებს განსაკუთრებით დიდხანს არ მოუხდებათ ასეთ სადგურებზე ცხოვრება: თუ ისინი სამ თვეს გაძლებენ, შეუძლიათ ერთი წელიწადიც გაძლონ. მაგრამ თუ აღმოჩნდა, რომ ორგანიზმი შეგუებული არ არის უწონობის ასეთ ხანგრძლივ მდგომარეობას? ნუთუ მაშინ ადამიანის შესაძლებლობა საკაბოტაჟო კოსმოსურ მოგზაურობას არ გასცდება? არა, საქმის მდგომარეობა ასეთი უიმედო როდია. თუ ადამიანს სიცოცხლე არ შეუძლია ისე, რომ მიზიდულობას არ განიცდიდეს, მისთვის უნდა უზრუნველყოთ მიზიდულობა კოსმოსურ ფრენაშიც. კოსმოსურ ხომალდში ხელოვნური მიზიდულობა შეიძლება შეეკმნათ ხომალდისათვის ბრუნვითი მოძრაობის მიცემით. წამოყენებულია წინადადებანი შეიქმნას ხომალდი-ბორბალი, ხომალდი-პროპელერი და სხვა კონსტრუქციები, რომლებსაც უკვე მარტო პოპულარული ტექნიკური ყურნალების გარეკანების შესამკობად კი არ იყენებენ, არამედ ლაბორატორიებში სცდიან.

მეორე, მარსზე გასაფრენი ხომალდი ისეთი დიდი ზომისა იქნება, რომ იგი, ჩანს, უნდა აიწყოს ორბიტაზე ცალკე ელემენტებისაგან. ამისათვის უნდა შემუშავდეს გაშვების ტექნიკა, რათა ხომალდის ყველა ელემენტი ერთ ადგილზე აღმოჩნდეს. უნდა შემუშავდეს ორბიტაზე აწყობა და აწყობილი ხომალდის შემოწმება. უნდა შეიქმნას საკმაოდ მძლავრი მატარებელი რაკეტები, რათა საჭირო არ გახდეს ხომალდის გაყვანა ორბიტაზე „ჭვრიტ-ჭვრიტად“. რაც უფრო დიდი იქნება ორბიტაზე გაყვანილი ელემენტები ხომალდისა, მით უფრო მარტივი იქნება აწყობა და უფრო საიმედო იქნება აწყობილი ხომალდი. მაგალითად, ეკიპაჟის კაბინა უმჯობესია გაუკანონ იქნას ორბიტაზე მთლიანად და არა ნაწილ-ნაწილ, რადგან ორბიტაზე აწყობისას ვერ მოხერხდება მისი ჰერმეტიულობის საიმედოდ უზრუნველყოფა.

მესამე. საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას ხომალდის შეუკვანა მარსის ატმოსფეროში, პლანეტაზე დასმა, იქიდან აფრენა, დედამიწის ატმოსფეროში შემოყვანა და დედამიწაზე დასმა. დასმის დროს ალბათ შეიძლება გამოყენებულ იქნას დამუხრუჭება პლანეტის ატმოსფეროში. ეს რამდენადმე გააადვილებს მარსზე დასმას მთვარეზე დასმასთან შედარებით, რადგან მთვარეს ატმოსფერო არა აქვს. მაგრამ მარსიდან აფრენისათვის საჭირო იქნება უფრო მძლავრი ძრავი, ვიდრე მთვარიდან აფრენისათვის, იმიტომ რომ მარსის მასა უფრო მეტია და მისი მიზიდულობის დაძლევას ძრავების წევის მეტი ძალა სჭირდება. ძალიან სახიფათო იქნება დედამიწის ატმოსფეროში შემოსვლა. მარსიდან მომავალი ხომალდი დედამიწის ატმოსფეროში შემოვა გაცილებით უფრო მეტი სისწრაფით, ვიდრე დედამიწის თანამგზავრები, და ხომალდის გახურება მნიშვნელოვნად უფრო ინტენსიური იქნება.

მეოთხე, მარსზე ადამიანების გადასახმადად საჭირო იქნება ამ პლანეტის გამოკვლევა უპილოტო აპარატების შემწეობით.

მეხუთე...

ვროგლემები ბევრია, მათი ჩამოთვლაც კი ძნელია. მაგრამ ამ პრობლემებზე მუშაობა უკვე დაწყებულია და, არც თუ ადრეა დაწყებული. მარსზე გაფრენა არ შეიძლება ყოველ მომენტში, როგორც კი მზად იქნება ხომალდი, არამედ მხოლოდ მაშინ, როცა ეს პლანეტა უახლოვდება დედამიწას, წინააღმდეგ შემთხვევაში საჭირო იქნება ისეთი მძლავრი და მძიმე „საბორტო რაკეტები“, რათა ორბიტაზე აწყობილი ხომალდი გადაყვანილ იქნას მარსისაკენ გასაფრენ ტრაექტორიაზე და დაბრუნებულ იქნას დედამიწაზე. რომ გაფრენა პრაქტიკულად განუხორციელებელი გახდება. უკანასკნელად მარსი მოუახლოვდა დედამიწას 1963 წლის თებერვალში, ამ მოახლოებას შეეფარდა საბჭოთა ავტომატური საპლანეტათშორისო სადგური „მარს-1“-ის გაშვება. მარსის მოახლოება (პირისპირ დგომა) მეორდება დაახლოებით ორ წელიწადში ერთხელ. მაგრამ ყველა პირისპირ დგომის დროს კი არ არის მარსი თანაბარ სიახლოვეზე დედამიწასთან. ყველაზე ახლოს იგი არის ხომლმე ეგრეეწოდებული დიდი პირისპირ დგომების დროს, რომლებიც 15-17 წელიწადში ერთხელ ხდება. უახლოესი დიდი პირისპირ დგომა 1971 წელს იქნება. ამ ვადისათვის მომზადება საეკვოა მოვერხდეს. შემდეგ დადგება შედარებით ხელსაყრელი პირისპირ დგომანი 1973 და 1975 წლებისა, შემდეგ კი... „არახელსაყრელი დრო“ 1985 წლამდე. ეს პირველეული დახასიათდება, ჯერ-ერთი, იმით, რომ მარსი პირისპირ დგომისასაც კი შედარებით შორს იქნება დედამიწისაგან, და, მეორე, უფრო გაძლიერებული იქნება მზის აქტივობა. მარსის უფრო მეტად დაშორება უფრო მძლავრ საბორტო რაკეტებს გახდის საჭიროს. მზის აქტივობის გაძლიერება მოითხოვს მასივურ სარადიაციო ეკრანებს, რაც გააადიდებს ხომალდის წონას. გამოთვლილია, რომ 1971 წლის დიდი პირისპირ დგომისათვის გათვალისწინებული ფრენისას საჭირო იქნება სამჯერ ნაკლები სიმძლავრის საბორტო რაკეტები, ვიდრე 1981 წლის „არახელსაყრელი“ პირისპირ დგომისათვის გათვალისწინებული ფრენისას. მაშასადამე, საკითხი ასე დგას: გაფრენა უნდა მოეწყოს ან 1975 წლამდე (შეიძლება ვერ მოესწროს!) ან უკვე 1985 წლის შემდეგ (დასანანებელია ლოდინი!). რა თქმა უნდა, უახლოეს წლებში ტექნიკამ შეიძლება იმდენად წაიწიოს წინ, რომ შესაძლებელი გახდეს გაფრენა 1975-1985 წლების არახელსაყრელ ათწლეულშიც. მაგრამ გაანგარიშებანი ამაზე არ შეიძლება აიგოს. მაშასადამე, საჭიროა ვეცადოთ მოვასწროთ 1975 წლისათვის. ამიტომ მზადება დროულად დაიწყო.

როგორ გაფრინდება მარსისაკენ ორბიტაზე აწყობილი ხომალდი?

აფრენის ერთ-ერთი პროექტი, რომელიც პერსპექტივის მქონედ მიაჩნიათ. ხომალდი შედგება სამი ნაკვეთურისაგან: ეკიპაჟის დაუბრუნებელი და დასაბრუნებელი ნაკვეთურები და მარსზე დასაჯდომად გათვალისწინებული ნაკვეთური („მარსის კაბინა“). აწყობა ხდება ორბიტაზე დედამიწის ახლოს, სადაც დაუბრუნებელ ნაკვეთურს ემაგრება ორი მძლავრი საბორტო რაკეტა: ერთის დანიშნულებაა გადაიყვანოს ხომალდი მარსისაკენ ფრენის ტრაექტორიაზე (რის შემდეგაც ჩამოიცლება), მეორისა — დაბრუნოს იგი დედამიწაზე. აწყობილი ხომალდი 100-120 დღეღამეში მიაღწევს მარსს და გადავა ორბიტაზე ამ პლანეტის გარშემო (მარსის ხელოვნური თანამგზავრი გახდება). კოსმონავტები მარსისაკენ ფრენის დროს ეკიპაჟის დაუბრუნებელ ნაკვეთურში იმყოფებიან, მარსის გარშემო ორბიტაზე გასვლის შემდეგ კი ნაწილი ეკიპაჟისა „მარსის კაბინაში“ გადადის. კაბინა გამოეყოფა ხომალდს და პლანეტაზე დაჯდება, ხომალდი კი მარსის გარშემო ბრუნვას განაგრძობს. დაგეგმილი კვლევის განხორციელების შემდეგ „მარსის კაბინაში“ მყოფი კოსმონავტები („მარსის კაბინა“) ეფრენებიან ხომალდს, ეკიპაჟის დაუბრუნებელ ნაკვეთურში ერთვებიან და მასში გადავლენ. კოსმონავტების მიერ დატვირთული „მარსის კაბინა“ მოსცილდება, ხომალდი კი მეორე საბორტო რაკეტის დახმარებით დედამიწისაკენ ფრენის ტრაექტორიაზე გადაჰყავთ (რაკეტა საწვავის დაწვის შემდეგ მოსცილდება). დედამიწისაკენ დაბრუნებისას ყველა კოსმონავტი ეკიპაჟის დაუბრუნებელ ნაკვეთურშია, ხოლო დედამიწასთან მოახლოების წინ ისინი ეკიპაჟის დასაბრუნებელ ნაკვეთურში გადადიან. ეკიპაჟის დაუბრუნებელი ნაკვეთური, რომელსაც კოსმონავტები ტოვებენ, ჩამოსცილდება, ხოლო დასაბრუნებელი ნაკვეთური, რომელიც აღჭურვილია თბოსაცავი საფარით, დედამიწის ატმოსფეროში შემოდის და პლანეტის ზედაპირზე ჯდება.

საინტერესოა ზოგიერთი მეცნიერის წინადადება, რომ „მარსის კაბინის“ გამოყოფის წინ ხომალდი მარსის გარშემო ორბიტაზე კი არ გაიყვანონ, არამედ დასვან მარსის ერთ-ერთ იმ ბუნებრივ თანამგზავრზე, რომლებიც პლანეტიდან შედარებით მცირე სიმაღლეზე ბრუნავენ. თანამგზავრზე ყოფნისას კოსმონავტები დააკვირდებიან მარსს და აირჩევენ „მარსის კაბინის“ დასაჯდომ ადგილს.

მარსისაკენ ნაკრები ფრენისას შესაძლოა სულ მოულოდნელ სიძნელეებს წააწყდნენ: ხომალდი შეიძლება მეტეორმა გახვრიტოს, შეიძლება უეცრად საშიშ დონემდე აიწიოს კოსმოსურმა რადიაციამ. კოსმონავტების უშიშრობის უზრუნველსაყოფად წინადადებას იძლევიან ერთად გაიგზავნოს ორი ხომალდი. თუ ერთ-ერთი დაზიანდა, კოსმონავტები დაუზიანებელ ხომალდზე გადავლენ. რამდენად გამართლებულია უსაშიშრობის ასეთი ღონისძიებანი, ამის თქმა ძნელია. ერთის ნაცვლად ორი ხომალდის გაგზავნის სირთულე, ორმაგ ხარჯებზე რომ ალარაფერი ვთქვათ, აშკარაა. თანაც შეიძლება ორივე ხომალდი დაზიანდეს. მათ ხომ ერთმანეთთან შედარებით ახლოს უნდა იფრინონ, და დიდია იმის შესაძლებლობა, რომ ორივენი მოპყენენ მეტეორთა ნაკადში.

ხომალდებს მარსისაკენ თვითონ კოსმონავტები წაიყვანენ. შორეული დედამიწა მეტ წილ გზაზე მათ დასამარცვლად გაუწევს. მაგრამ დედამიწასთან კავშირი განუწყვეტელი უნდა იყოს. ეს გახსაკუთრებით რთული იქნება, როცა კოსმონავტები მარსზე გადასხდებიან. მათთან კავშირის უზრუნველსაყოფად წინადადებას იძლევიან წინასწარ გაყვანილ იქნას მარსის გარშემო ორბიტაზე ხელოვნური თანამგზავრები — რეტრანსლატორები.

თუ ყველა ამ პრობლემის წარმატებით გადაჭრა მოხერხდა, შეაძლოა, რომ უკვე ახლანდელი თაობა შეეგებოს მარსიდან დაბრუნებულ კოსმონავტს.

იური მარინინი,
მეცნიერი კომენტატორი.

მარსის რიგი როდისღა დადგება?

„კომუნისტი“ პოლიტიკური ყოველდღიური გაზეთი

საუკუნის მატჩი

მიმდინარე წლის ოქტომბერი ყველაზე დაძაბული საფეხბურთო თვეა. გარდა ამისა ეს წელი საიუბილეო წელიც „არის. სწორედ ასი წლის წინათ ფეხბურთის სამშობლოში — ინგლისში პირველად დაიწყეს ფეხბურთის თამაში.

13 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის ნაკრები მოსკოვში შეხვდება სეზონის ყველაზე ძლიერ მეტოქეს — იტალიის ნაკრებს, ხოლო 10 დღის შემდეგ ლონდონში „უემბლის“ სტადიონზე გაიმართება საუკუნის მატჩი. უკანასკნელი წლების ფეხბურთის სახელგანთქმული „ვარსკვლავები“ შეადგენენ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ნაკრებ გუნდს. მათი შეტოქე იქნება იუნაილარი — ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი.

ვინ შევიდა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის საიუბილეო ნაკრებ გუნდში. ჩვენი დამსახურებული მეკარე იაშინი, იგოსლავიის ნაკრების მეკარე შოშკიჩი, დამცველები: ნ. სანტოსი და ჯ. სანტოსი (ბრაზილია), ეისაგუირე (ჩილი), შნელინგერი (გერმანია) ფედერაციული რესპუბლიკა), ნახევარდამცველები: მასპაუსტი და პლუსკალი (ჩეხოსლოვაკია), მალდინი (იტალია), ბაესტერი (შოტლანდია), თავდასმსმელები: გარინჩა (ბრაზილია), ეისებიო (პორტუგალია), რიერა (იტალია), კოპა (საფრანგეთი) დი სტეფანო (ესპანეთი), პელე (ბრაზილია), ლოუ (შოტლანდია) და ჰენტო (ესპანეთი). ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ დაასახელა ძირითადი შემადგენლობის ხუთი თავდასმსმელი. ეი ისინი: გარინჩა, ეისებიო, დი სტეფანო, პელე და ჰენტო. მომავალი მატჩის დანარჩენი ექვსი მოთამაშე გამოირკვევა ლონდონში, ამ საინტერესო შეხვედრის წინ. (საკვლევი).

ასპარეზოზენ ჩოგბურთელები

**„დინ